ალია

„ალია“ და „ქრონიკა“ უერთდება მოთხოვნას!

N187/3117/ 19-22 დეკემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი – ქრონიკა; სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი – ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

ირაკლი ღარიბაშვილი: „რატომ არ ხდება აქამდე ბენზინის ფასების შესწავლა და კონტროლი“

როდის და რამდენით დააკლებენ ფასს „მებენზინეები“

ვისოლი
სუპერი – 2,11
პრემიუმი – 2,06
ევრორეგულარი – 1,91
რეგულარი – 1,88

გალფი
სუპერი – 00
პრემიუმი – 2,09
ევრორეგულარი – 1,99
რეგულარი – 1,89

რომპეტროლი
ევრო-98 – 2,19
ევროპრემიუმი – 2,08
ევრორეგულარი – 1,92

ლუკოილი
ევროსუპერი – 2,09
პრემიუმავანგარდი – 2,01
ევროპრემიუმი – 00
ევრორეგულარი – 1,84

სოკარი
სუპერი – 2,10
ნანოპრემიუმი – 2,01
ევრორეგულარი – 1,91
ნანორეგულარი – 1,88

ბიძინა ივანიშვილი ძალიან გაბრაზებულა, როცა შეიტყო მიხეილ სააკაშვილის ევროპარლამენტში დასწრების შესახებ

„რატომ არ მიეცა საშუალება პრეზიდენტს, სიტყვით გამოსულიყო, ვინ მოამზადა ეს ვიზიტი?“

პუტინი საქართველოს ხელისუფლებასთან შესახვედრად მზად არის, როგორ უნდა მოიქცეს ღარიბაშვილი?

„თუ მოსკოვში ჩასვლა გადაწყდა, ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი მარგველაშვილს იქ არ გაუშვებენ, ეს იქნება ისტორიული შეხვედრა. დაგუშვათ, კარგად დამთავრდა ყველაფერი. ჯერ ერთი, მარგველაშვილს ამ ქულებს არ ჩააწერინებენ და მეორეც, მისი წასვლა იქნება მხოლოდ სიმბოლური“

იანვრიდან გენმოდიფიცირებული პროდუქციის კონტროლი იწყება

პარლამენტს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილება შეაქვს, რაც გენმოდიფიცირებულ პროდუქციასა და დადგენილი ნორმების დარღვევისას ჯარიმებს ეხება.

როდიდან დაიწყება გენმოდიფიცირებული პროდუქციის კონტროლი? ვინ გააკონტროლებს და როგორ იქნება დაცული ადამიანი ასეთი პროდუქციისგან?

„ალიას“ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თემურ მაისურაძე ესაუბრა:

— ბატონო თემურ, რა დარღვევებზეა საუბარი ცვლილებებში და რამდენი იქნება ჯარიმა?

– ჯარიმები განისაზღვრა ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში საქმიანობის წესების დარღვევებზე. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამრავლება, ექსპერიმენტების ჩატარება და ა.შ. უნდა მოხდეს დახურულ სივრცეში. იმ შემთხვევაში, თუ ეს წესი დაირღვევა, გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 800 ლარამდე. თუ ეს ქმედება ჩადენილი იქნება განმეორებით, ჯარიმა 800-დან 2000 ლარამდე გაიზრდება.

იმ შემთხვევაში კი, თუ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქცია მოხდება, ეს გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე. ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 3000 ლარამდე.

ისეთ შემთხვევაში, თუ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქცია მოხდება და ეს გამოიწვევს ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას ან გარემოსა და ბიომრავალფეროვნებისთვის მძიმე შედეგს, იმოქმედებს ჯარიმა 2000-დან 5000 ლარამდე.

ასევე, თუ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ეტიკეტირების წესები დაირღვევა, აღნიშნული დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე. ხოლო განმეორებით ჩადენილი ქმედების შემთხვევაში ჯარიმა განისაზღვრება 1000-დან 3000 ლარამდე.

— მკითხველს ის უფრო აინტერესებს, გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტებისგან რამდენად იქნება დაცული. შეფუთულ პროდუქტზე იქნება ნიშანდება, მაგრამ ბოსტნეულსა და ხილს რა ვუყოთ?

– ხილსა და ბოსტნეულს ვერ დავატანთ ეტიკეტს, თუმცა შემომტანს აქვს სტანდარტული დოკუმენტები, რომ დახლზე, სადაც ამ ხილს ან ბოსტნეულს დაალაგებენ, აუცილებლად გაკეთდეს წარწერა, რომ პროდუქტი არის გენმოდიფიცირებული.

— ბაზრობებზე ბევრი რამე ვერ კონტროლდება და ამას როგორ დააკონტროლებთ?

– ამ დროისთვის ბაზრობებზე ეს ვერ კონტროლდება, მაგრამ ძალიან მალე ეს მოთხოვნა ბაზრობებზეც სავალდებულო გახდება, რადგან არავის არ აქვს უფლება, მომხმარებელი მოატყუოს.

— როდიდან გახდება კონტროლირებადი?

– იმდენად მალე, რამდენადაც ხელისუფლება მოასწრებს ამ ახალი რეგულაციების მიღებას. უცებ დაიწყო და რეგულაციები ვერ აკონტროლო, აზრი არ აქვს. ამიტომ როგორც კი უწყება მზად იქნება თავისი შესაბამისი სამსახურებით, მაშინვე დაიწყება კონტროლი.

— ცვლილებები როდიდან ამოქმედდება?

– 2015 წლის 1-ლი იანვრიდან. მთავარია, როცა რაღაც კანონდარღვევა ხდება, უნდა არსებობდეს რაღაც სახის სასჯელი, ან ჯარიმა. ვინ დაიცავს კანონს, თუ ის არ რეგულირდება რაიმე სახის სასჯელით? შეეხებათ, თუ ვერ დარეგულირდება, კიდევ უფრო გავამკაცრებთ ჯარიმებს. ასეთი საკითხებით, მოგეხსენებათ, დაინტერესებული იქნებიან ვინრო ჯგუფები. თუ დავინახავთ, რომ ეს ჯარიმა მათთვის მძიმე არ არის, მაშინ აუცილებლად გავამკაცრებთ.

— ვინ გააკონტროლებს ამ საკითხს?

– ვინაიდან ამ ტიპის სამართალდარღვევებს გავლენა აქვს გარემოზე, გარემოს დაცვის სამინისტრო გააკონტროლებს.

დიანა ლიპარტელიანი

გორში მამაკაცმა სტადიონზე თვითმკვლელობა სცადა

გორში ახალგაზრდა მამაკაცმა თვითმკვლელობა სცადა. ის ცენტრში, გორის „დილას“ სტადიონზე მდებარე განათების ბოძზე ავიდა, რომელიც დაახლოებით 70 მეტრია და იქიდან გადმოხტომით იმუქრებოდა. მამაკაცი მოქალაქეებმა შენიშნეს და საპატრულო და სამაშველო სამსახურებს გამოუძახეს. სამაშველო სამსახური დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ცდილობდა მამაკაცის ბოძიდან ჩამოყვანას. საბოლოოდ მამაკაცის განათების ბოძიდან უვნებლად ჩამოყვანა შესაძლებელი გახდა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, მამაკაცი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იყო. სამაშველო სამსახურის უფროსის განცხადებით, აღნიშნულ ახალგაზრდას იგივე მეთოდით თავის მოკვლის მცდელობა ადრეც ჰქონდა. (ნოუპოსტი)

სოფელ რუისთან ავტოსაგზაო შემთხვევას მამაკაცი ემსხვერპლა

ქარელის რაიონის, სოფელ რუისთან მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას მამაკაცი ემსხვერპლა. „ოპელის“ მარკის ავტომობილი ჯერ ქვეითად მოსიარულე მამაკაცს დაეჯახა, შემდეგ კი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა. მსუბუქად დაშავდნენ ავტომობილის მძღოლი და ორი მგზავრი. ისინი სამედიცინო დაწესებულებაში არიან გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნოუპოსტი)

„ჩვენი ბარიერი ოლიგარქი იყანიშვილია და ის გზიდან უნდა იქნას ჩამოშორებული“

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგა ბოკერიას თქმით, ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია ქვეყნისთვის დიდი წარმატებაა.

„ეს არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ჩვენ უნდა გვქონდეს რწმენა და ნებისყოფა, რომ ჩავდოთ დიდი შრომა ამ პროცესში და ეს გზა ბოლომდე მივიყვანოთ. ჩვენ გაგვიჩნდა ერთი განსაკუთრებული ბარიერი, ეს არის ჩვენი მთავრობა და მისი ხელმძღვანელის, ოლიგარქ ივანიშვილის ჟინი, რომ ჩასვას ციხეში ყველა ის ადამიანი, ვინც მას პოლიტიკურად არ მოსწონს, რაც შეუთავსებელია ევროპულ ღირებულებებთან. ეს ასახულია კიდეც რეზოლუციაში, ამა თუ იმ გზით ეს ბარიერი უნდა იქნას გზიდან ჩამოცილებული“. – განაცხადა ბოკერიამ. (ნოუპოსტი)

„მკვლელობა წინასწარ დაგეგმეს, დათო სისხლისგან დაიცალა“

ვარკეთილში მოკლული 19 წლის დათო ხარაზიშვილის ნათესავები აცხადებენ, რომ ბიჭი შეყვარებულმა მოტყუებით გაიყვანა სახლიდან, რის შემდეგაც, გოგონას ბიძამ და ბაბუამ ის მანქანაში მოკლეს.

„ბავშვი მოტყუებით გამოიყვანა გოგონამ სახლიდან. ჩასხდნენ მანქანაში. ამის შემდეგ, გოგონას ბაბუამ და ბიძამ მანქანას დაარტყეს. გააჩერეს მანქანა. თავიანთი გოგო მანქანიდან გადმოიყვანეს, თავად ჩასხდნენ მანქანაში და დათო დაჭრეს. ყველაფერი იყო დაგეგმილი და წინასწარ გათვლილი. ბავშვი სისხლისგან დაიცალა. ამაზე მეტი სისასტიკე რა უნდა მოხდეს?“ – განაცხადა გარდაცვლილის დეიდამ ეკა ხარაზიშვილმა.

ვარკეთილში 19 წლის ბიჭი შურისძიების ნიადაგზე მოკლეს. შემთხვევა 15 დეკემბერს გვიან ღამით მოხდა. დავით ხარაზიშვილს ჭრილობები ზურგის არეში ცივი იარაღით ჰქონდა მიყენებული და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. (ნოუპოსტი)

ვის გულისხმობს პოროშენკო სასიამოვნო სიურპრიზში?

უკრაინის პრეზიდენტის თქმით, ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარის წარდგინებისას ის სასიამოვნო სიურპრიზს ამზადებს.

„მე თქვენ გპირდებით ძალიან სასიამოვნო სიურპრიზს, ის თქვენ ყველას მოგეწონებათ“. – განაცხადა პოროშენკომ.

ანტიკორუფციული ბიურო 2015 წლის 14 იანვარს შეიქმნება. მისი შექმნის გადაწყვეტილება რადამ 14 ოქტომბერს მიიღო. გადაწყვეტილებას და კორუფციასთან ბრძოლის კანონპროექტს ხელი 23 ოქტომბერს მოაწერა.

უკრაინული მედიის ცნობით, ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელად ორი კანდიდატურა განიხილება – საქართველოს მესამე პრეზიდენტი სააკაშვილი და იუსტიციის ექსმინისტრი ზურაბ ადეიშვილი. (ნოუპოსტი)

ქვემო ქართლს ახალი გუბერნატორი ჰყავს

სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობას პაატა ხიზანაშვილი დაიკავებს.

ხიზანიშვილი სხვადასხვა პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ფინანსთა და თავდაცვის სამინისტროებში მუშაობდა.

2006 წლიდან დღემდე ხიზანაშვილი „ქართუ ჯგუფში“ სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა, მათ შორის იყო ეკონომიკური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი და „ბანკი ქართუს“ საკრედიტო დეპარტამენტის აქტივების მართვის განყოფილების უფროსი. ქვემო ქართლის გუბერნატორის თანამდებობა ვაკანტური გიორგი მელაშვილის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად დანიშვნის შემდეგ გახდა. (ნოუპოსტი)

ყანო მერაბიშვილის სახლის გაქურდვის ბრალდებით სამი პირი დააკავეს

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ადიგენის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარსულში მრავალჯერ ნასამართლევი სამი პირი: 1993 წელს დაბადებული გიორგი შ, 1987 წელს დაბადებული ზაზა ქ. და 1989 წელს დაბადებული თამაზ ქ. ქურდობის ბრალდებით ახალციხეში დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 16 დეკემბერს დაბა აბასთუმანში, ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ სახლში აბაზანის სარკმლიდან ფარულად შეაღწიეს, საიდანაც პლაზმური ტელევიზორები, ჭურჭელი, სხვადასხვა დასახელების სასმელი, მოვერცხლილი ხატი და საყოფაცხოვრებო ნივთები მოიპარეს.

სამართალდამცველებმა თბილისში, ერთ-ერთი დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას მოპარული ნივთების გარკვეული ნაწილი ამოიღეს. მოპარული ჭურჭლის ნაწილი ამოღებულია მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ბაზრობიდან, ხოლო თბილისში მდებარე 2 ლომბარდიდან ტელევიზორი და ლეპტოპი ამოიღეს.

გამოძიება ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით). (ნოუპოსტი)

ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება რატიფიცირებულია, რასაც 623 ევროპარლამენტარიდან 490-მა მხარი დაუჭირა, წინააღმდეგი იყო 76, თავი შეიკავა 75-მა. ამ დრომდე დოკუმენტის რატიფიკაცია 11-მა ქვეყანამ მოახდინა. ეს ქვეყნებია: დანია, ხორვატია, რუმინეთი, ბულგარეთი, ლიტვა, ლატვია, მალტა, სლოვაკეთი, ესტონეთი, უნგრეთი, შვედეთი. ყველაფერი ამით არ დასრულებულა. ხელშეკრულება ევრო-

როცა შეიტყო მიხეილ სააკაშვილის ევროპარლამენტში დასწრების შესახებ. რას მიკეთებთ, რას ჰგავს თქვენი საქციელი, თქვენი არაკომპეტენტურობისა და უნიათობის ბრალია ის, რომ გაბედა სააკაშვილმა იქ დასწრება. რატომ არ მიეცა საშუალება პრეზიდენტს, სიტყვით გამოსულიყო, ვინ მოამზადა ეს ვიზიტი? – იყო ბიძინა ივანიშვილის მხრიდან დასმული კითხვები, რომელზეც პასუხი ძალიან ბევრს არ აქვს. უმრავ-

დელაკი, რომელსაც აწიოკებული აქვს თითოეული ევროპარლამენტარის კარი, იმავე ლოჟაში, ოღონდ უკან ისხდნენ პრეზიდენტი მარგველაშვილი და მისი გარემოცვა. ეს ნიშნავს თუ არა, პრეზიდენტის სააკაშვილთან გათანაბრებას და რატომ მოხდა ისე, რომ პრეზიდენტს არ ერგო განსაკუთრებული საპრეზიდენტო ლოჟა და რატომ არ მისცეს მას სიტყვით გამოსვლის უფლება, მაშინ, როცა იგეგმებოდა მიხეილ

სი დოკუმენტის რადიფიცირება ხდებოდა. თუკი პრემიერსა და პრეზიდენტს შორის მიმდინარეობდა ხანგრძლივი დავა, ვინ მოაწერდა ხელს ევროპასთან ასოცირების დოკუმენტს, ამ ფინალურ ღონისძიებასაც აუცილებლად სამთავრობო დელეგაცია უნდა დასწრებოდა. ყველას გვახსოვს მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის სპონტანური შეხვედრა კიევში პოროშენკოს ინაუგურაციის დროს, რასაც მოჰყვა

ნევროპათოლოგების მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. ასეთი ბოროტი, ეგოცენტრული, პროვოკატორი და „შემეტენე“ ადამიანი, მსოფლიოს არ ახსოვს. როგორც ჩანს, მას საკუთარი თავი ისევ საქართველოს ლიდერი ჰგონია, ოღონდ ხალხშემოძარცული ლიდერი...

რა გვიხარია? რატომ ვზეიმობთ ამ დღეს? რა შედეგებს მოგვიტანს მოკლევადიან პერსპექტივაში? აისახ-

ბიძინა ივანიშვილი ძალიან გაბრაზებულა, როცა შეიტყო მიხეილ სააკაშვილის ევროპარლამენტში დასწრების შესახებ

„რატომ არ მიეცა საშუალება პრეზიდენტს, სიტყვით გამოსულიყო, ვინ მოამზადა ეს ვიზიტი?“

ბიძინა ივანიშვილი ძალიან გაბრაზებულა, როცა შეიტყო მიხეილ სააკაშვილის ევროპარლამენტში დასწრების შესახებ. რას მიკეთებთ, რას ჰგავს თქვენი საქციელი, თქვენი არაკომპეტენტურობისა და უნიათობის ბრალია ის, რომ გაბედა სააკაშვილმა იქ დასწრება. რატომ არ მიეცა საშუალება პრეზიდენტს, სიტყვით გამოსულიყო, ვინ მოამზადა ეს ვიზიტი? – იყო ბიძინა ივანიშვილის მხრიდან დასმული კითხვები, რომელზეც პასუხი ძალიან ბევრს არ აქვს

პის კიდევ 17-მა ქვეყანამ უნდა დაამტკიცოს, თუმცა ძირითადი საქმე გაკეთებულია. ახლა კი აუცილებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ზედმიწევნით შეასრულოს ის რეკომენდაციები, რომელიც ევროკავშირს საქართველოსთან მიმართებაში ექნება. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, ევროპამ ყვითელი ბარათი გვიჩვენოს.

ვიდრე ამ საკითხებზე ექსპერტი კახა გოგოლაშვილი საკუთარ მოსაზრებას უფრო ვრცლად გამოთქვამს, იმ პიკანტურ დეტალებს მოვუთხრობთ „ალიას“ მკითხველს, რაც ამ ორი დღის მანძილზე კულუარებში მიმდინარეობდა. 18 დეკემბერს, „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბში ტორტი გაიჭრა ამ დღის აღსანიშნავად, მაგრამ, ალბათ, გაინტერესებთ, რა ხდებოდა „ოცნების“ კულუარებში. სანდო წყაროს ცნობით, ბიძინა ივანიშვილი ძალიან გაბრაზებულა, როცა შეიტყო მიხეილ სააკაშვილის ევროპარლამენტში დასწრების შესახებ. – sic

ლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი პარლამენტის დერეფნებში ბოლთას სცემდა და საკუთარ მოგვარეს, პოლონეთის ევროპარლამენტარს იაციკ ვოლსკის უშვერი სიტყვებით ამკობდა. ვოლსკი – ვოლსკის წინააღმდეგ, მხოლოდ პარლამენტის კედლებში შემოიფარგლა. სწორედ იაცეკ ვოლსკის მიწვევით იყო სააკაშვილი ევროპარლამენტში მისული. ყველა ელოდა, რომ ძებნილ ნაპრეზიდენტალს მოქმედი პრეზიდენტი პასუხს გასცემდა და უმაღლესი ტრიბუნიდან ევროპარლამენტარებს დიპლომატიურ ენაზე აუხსნიდა, რატომ მიმდინარეობს სამართლებრივი დევნა მიხეილ სააკაშვილზე, მაგრამ ჩვენ ვნახეთ კიდევ ერთი კლოუნადა დიპლომატიური პროტოკოლის აბსოლუტური დარღვევით, ერთ ლოჟაში ისხდნენ ნაპრეზიდენტალი მიხეილ სააკაშვილი, მისი დამქაში გიორგი კან-

სააკაშვილის სამადლობელი სიტყვით გამოსვლა ევროპარლამენტში.

საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე საკუთარ „ფეისბუკზე“ წერს: „როგორც მითხრეს, იაცეკ სარიუშ ვოლსკი და ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკი ყველაფერს აკეთებდნენ, 18 დეკემბერს სააკაშვილი ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ სამადლობელი სიტყვით გამოსულიყო. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს არ მოხდა. თუმცა, სამწუხაროდ, პრეზიდენტმაც ვერ მოახერხა გამოეხატა ქართველი ხალხის განწყობა და ჩვენი სახელით მადლობა გადაეხადა ევროპელებისთვის...“

მიხეილ სააკაშვილიც ავრცელებს განცხადებას საკუთარი „ფეისბუკის“ გვერდზე ამასთან დაკავშირებით: „თქვენ იცით, რომ გუშინ აქ დიდი განხილვა იყო იმასთან დაკავშირებით, უნდა ჰქონოდა თუ არა საქართველოს პრეზიდენტს სიტყვით გამოსვლის უფლება. როგორც იცით, რატიფიკაციის დროს პოროშენკოს ჰქონდა გამოსვლის უფლება, საქართველოს პრეზიდენტთან დაკავშირებით კი ევროპარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გიორგი მარგველაშვილს გამოსვლის უფლება არ მისცემოდა. ეს არის კიდევ ერთი გამოხატულება იმ შიდა არეულობისა და გაურკვევლობის, რაშიც ჩვენ აღმოვჩნდით და ჩვენ ამ ტრიბუნაზე უარს არ უნდა გვეუბნებოდნენ“.

ფაქტია, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილის სტრაზბურგში გამგზავრება სპონტანურად დაიგეგმა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ სააკაშვილი იმ დარბაზში გამოჩნდებოდა, ესეც საგარეო საქმეთა სამინისტროს დიდი მინუსია იმიტომ, რომ ასეთ ღონისძიებებზე, როგორც წესი, წარმომადგენლობითი სამთავრობო დელეგაცია უნდა ყოფილიყო ჩასული, რადგანაც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანე-

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი პარლამენტის დერეფნებში ბოლთას სცემდა და საკუთარ მოგვარეს, პოლონეთის ევროპარლამენტარს იაციკ ვოლსკის უშვერი სიტყვებით ამკობდა. ვოლსკი – ვოლსკის წინააღმდეგ, მხოლოდ პარლამენტის კედლებში შემოიფარგლა. სწორედ იაცეკ ვოლსკის მიწვევით იყო სააკაშვილი ევროპარლამენტში მისული

უამრავი ჭორ-მართალი. სააკაშვილმა მარგველაშვილთან შეხვედრის შესაძლებლობაზეც ისაუბრა და თქვა, რომ არანაირი საიდუმლო შეხვედრები მარგველაშვილთან არ იგეგმება: „იქ ისეთი ეჭვიანი ბოროტი დედინაცვალი თუ მამინაცვალი ელოდება მაგათ ყველას, იმდენად დიდი პრობლემები აქვთ, იმდენი მეთვალყურე გამოატანეს, ნამდვილად არ მინდა ვინმე უხერხულობაში ჩავაყენო, თან მაგვიანდება, შეუძლია იმ კაცს მშვიდად იყოს, ახლა მივფრინავ მერკელთან და სხვებთან ერთად უნდა განვიხილო საქართველოს საკითხები. დღეს მარგველაშვილისთვის მე დრო არ მაქვს, ამიტომ შეუძლია წყნარად იყოს, არანაირი საიდუმლო შეხვედრები არ შედგება...“ როგორც ხედავთ, სააკაშვილი, ესაა კლინიკა, რომელიც ფსიქიატრების, ფსიქოლოგებისა და

ება თუ არა ეს ქართველი ხალხის ჯიბეზე, სოციალურ მდგომარეობაზე და ქვეყნის ეკონომიკაზე?

აი, რას აცხადებს „ალიასთან“ ინტერვიუში „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი კახა გოგოლაშვილი:

– ევროპარლამენტში ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ჯერ არ ნიშნავს შეთანხმების ძალაში შესვლას. ასოცირების შესახებ შეთანხმება ძალაში შევა მაშინ, როცა ევროკავშირის 28-ვე სახელმწიფო მოახდენს ამ დოკუმენტის რატიფიცირებას საკუთარ პარლამენტში, რომელიც გათვალისწინებულია მათი კონსტიტუციით. არის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

პროკურატურამ ერეკლე კოდუას ორი მეგობარი დაკითხა

სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ერეკლე კოდუას საქმეზე, ბრალდების სამი მოწმე დაიკითხა. საქმე ეხება ორ ეპიზოდს, რომლის მიხედვითაც კოდუამ ძვირადღირებული ავტომობილები მათ მფლობელებს საკუთარი ოჯახის წევრებზე გადააფორმებინა.

ბრალდების მხარემ ერეკლე კოდუას მეგობარი, ზვიად ცხოვრებაძე დაკითხა. ასევე, დაიკითხნენ მოწმეები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ავტომობილების არჩევაში უშუალოდ ერეკლე კოდუა მონაწილეობდა. ასევე, პროკურატურამ წარმოადგინა მტკიცებულებები მერაბ რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც, ბრალდების მტკიცებით, კოდუამ საპროცესო შეთანხმების სანაცვლოდ სახელმწიფოსთვის გადასაცემად ორი ავტომობილის ყიდვა მოსთხოვა.

პროკურორ არჩილ ტყეშელაშვილის თქმით, მოწმეებმა დაადასტურეს ბრალდების მტკიცება.

ერეკლე კოდუას ადვოკატი გიორგი გელხაური ამბობს, რომ დაკითხული ჩვენების საფუძველზე, რომლებმაც დაადასტურეს, რომ კოდუა ავტომანქანების არჩევის დროს ადგილზე იმყოფებოდა ბრალი არ მტკიცდება.

ერეკლე კოდუას, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და თაღლითობაში სდებენ ბრალს. ბრალის დადასტურების შემთხვევაში სოდ-ის ყოფილ უფროსს 9 წლამდე პატიმრობა ემუქრება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

„საქართველომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა უვიზო რეჟიმისკენ“

სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა საგანგებო მიმართვა გაავრცელა.

„საქართველოს ძვირფასო მოქალაქეებო, საქართველო ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა, ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს ევროპული მისწრაფებების შედეგია. საქართველომ გადადგა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმ პროცესში, რომელიც მასა და მის მოქალაქეებს მიაახლოებს მიზანთან, რომელიც ევროკავშირთან უვიზო რეჟიმს შეეხება. ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციით საქართველო გარდაიქმნება და ეჭვი არ მეპარება, რომ ამით სარგებელს პირველი თქვენ, საქართველოს მოქალაქეები, იგრძნობთ. ამ შეთანხმების შედეგად, საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროკავშირს, გააღრმავებს მასთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებს“. – აცხადებს ჰანი. (ნიუპოსტი)

მესამე გვერდიდან

ქვეყნები, სადაც რატიფიცირება ასე მარტივად არ ხდება, მაგალითად, ბელგიაში 7 ინსტანცია უნდა გაიარო, იმისათვის, რომ საბოლოო ჯამში ძალაში შეიდეს. როგორც წესი, ასეთი სახის დოკუმენტები ძალაში შედის, ორი, სამი და ზოგჯერ, ხუთი წლის შემდეგ. რადგან აქ ლაპარაკია პროცედურებზე, რომელსაც დრო სჭირდება. ყველა ქვეყანას თავისი ინსტანცია აქვს, სადაც კეთდება დასკვნები, შემდეგ პარლამენტის კომიტეტებში მიმდინარეობს განხილვა. ამ თვალსაზრისით ევროპარლამენტი უფრო თავისუფალია, ვიდრე ეროვნული პარლამენტები, რადგან ევროპარლამენტს ნაკლები საკანონმდებლო სამუშაო აქვს.

— მოდით, ახლა აგვიხსნით, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის ამ დოკუმენტის რატიფიცირებას?

– ევროპარლამენტში თავმოყრილია ევროპული პოლიტიკური პარტიების ძირითადი ნაწილი, ყველა პოლიტიკური პარტია, რომელიც ქვეყნების სათავეშია, ისინი ასევე წარმოდგენილნი არიან ევროპარლამენტში. როცა ევროპარლამენტი ამ დოკუმენტს ამტკიცებს და მწვანე შუქს აძლევს, ეს არის სიგნალი ყველა პოლიტიკური ძალისთვის, შესაბამისად ყველა ეროვნული პარლამენტისთვის არის სტიმული და სიგნალი, რათა იმ ქვეყნების პარლამენტში დაჩქარდეს მისი განხილვა და რატიფიკაცია. მით უმეტეს, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციაში მოწოდებულია, რომ ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა შეძლებისდაგვარად დააჩქარონ საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირების პროცესი. ნუ დაგვავიწყდება, რომ ხელშეკრულება არის 1300 გვერდზე მეტი. შესაბამისად, ამას დღეიდან დაახლოებით ორი წელი დასჭირდება, რომ ევროკავშირის პარლამენტებში მოხდეს მისი რატიფიცირება. საკმაოდ რთული პროცესი გვაქვს კიდევ, მაგრამ რაც მთავარია, ევროპარლამენტის მიერ ამ დოკუმენტის რატიფიცირებამ აჩვენა, რომ პროცესი დასრულდება დადებითად, აქვე მინდა გითხრათ, იმისთვის, რომ რატიფიცირების პროცესი საფრთხის ქვეშ არ დავაყენოთ, მთავარია, ჩვენ არ დაბლოკავს რატიფიცირებას.

— თუკი თანმიმდევრულნი ვიქნებით, რა სარგებელს ნახავს ქვეყანა, უფრო მეტი რომ ვუთხრათ მოსახლეობას, დოკუმენტის რატიფიცირებით უმოკლეს პერსპექტივაში რა სარგებელი გველოდება?

– რაც შეეხება მოკლევადიან ეფექტსა და სარგებელს, ეს ჩვენ უნდა მივიღოთ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დაფუძნებიდან, რომელიც ძალაში შევიდა პირდაპირ, მაგრამ როცა ჩვენ ვსაუბრობთ ევროპასთან ასოცირების რატიფიცირებაზე, რატიფიცირება ყველა მუხლს არ სჭირდება ევროკავშირის მხრიდან. არის მუხლები, რომლებიც ძირითადად ვაჭრობასთან არის დაკავშირებული, ეს არის შეთანხმების მეოთხე კარში მოთავსებული, რომელსაც რატიფიცირება არ სჭირდება. მეოთხე კარი ძალაში შევიდა პირველი სექტემბრიდან. ახლა ვთქვათ, რა ხდება რატიფიცირების შემდეგ? ახლა უკვე სხვა მუხლები შედის ძალაში, რომელიც შედგება 9 კარისგან. ყველაზე მოცულობითი არის სავაჭრო-ეკონომიკური საკითხი, რომელიც აფუძნებს თავისუფალ სავაჭრო რეჟიმს ევროკავშირთან, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ყველა სახის საბაჟო გადასახადები განულებულია, თანაც, დადებულია შეთანხმება, რომ მხარეები გაამარტივებენ ყველა სახის ტექნიკურ ბარიერს, რაც ხელს უშლის თავისუფალ ვაჭრობაში. ეს უნდა დაიხვეწოს საქართველოს მხრიდან კანონმდებლობით. როგორც კი ევროსტანდარტებს მივუახლოვდებით, ევროკავშირი გვიხსნის ბაზრებს, რაც ნიშნავს იმას, რომ შეუფერხებლად მოხდება ქართული პროდუქციის გატანა ევროკავშირის ბაზარზე. ახლა ძალიან დიდი შემოწმებისა და სირთულის შედეგად შედის ევროპაში ქართული პროდუქცია, სტანდარტის დაცვის შემთხვევაში კი ეს ბარიერი მოიხსნება. ეს შეთანხმება იძლევა საშუალებას, ნებისმიერ სფეროში სიტუაციის გაუარესება, ეს იქნება ადამიანის უფლება, ეკონომიკა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ურთიერთობების გაუარესება თუ სხვა რამ, ამან შეიძლება გამოიწვიოს პროცესის შეჩერება. თუ მოხდება ისე, რომ ევროკავშირი უკმაყოფილო იქნება საქართველოში მიმდინარე პროცესებით, განსაკუთრებით, თუკი დაინახავენ, რომ ადგილი აქვს ქვეყნის უკუსვლას, მაშინ ევროკავშირის რომელიმე სახელმწიფო აუცილებლად გავაუარესოთ ქვეყნის შიდა პოლიტიკური ვითარება, ნებისმიერ სფეროში სიტუაციის გაუარესება, ეს იქნება ადამიანის უფლება, ეკონომიკა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ურთიერთობების გაუარესება თუ სხვა რამ, ამან შეიძლება გამოიწვიოს პროცესის შეჩერება. თუ მოხდება ისე, რომ ევროკავშირი უკმაყოფილო იქნება საქართველოში მიმდინარე პროცესებით, განსაკუთრებით, თუკი დაინახავენ, რომ ადგილი აქვს ქვეყნის უკუსვლას, მაშინ ევროკავშირის რომელიმე სახელმწიფო აუცილებლად

„საკაშვილი და მარგველაშვილი ერთ ლოჟაში პროტოკოლის მიხედვით არ უნდა მსხდარიყვნენ. მეორე მხრივ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ევროპარლამენტი პროტოკოლისგან თავისუფალია, ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ ამ თვალსაზრისით პროტოკოლი არ დაიცვეს“

„ეს ღონისძიება ბევრად უფრო კარგად დაგეგმილი უნდა ყოფილიყო და ასე სპონტანური გადაწყვეტილებები არ უნდა მიეღოთ. საქართველოს ხელისუფლებას ეს ღონისძიება რომ კარგად დაეგეგმა, წარმომადგენლობით დელეგაციით უნდა ჩასულიყო. სასურველი იყო, რომ ქვეყნის ხელისუფალს ევროპარლამენტის ტრიბუნა გამოეყენებინა და სიტყვით გამოსულიყო. ჩვენ შეგვეძლო უფრო პომპეზური და თეატრალიზებული ელფერი მიგვეცა ამ მოვლენისთვის, რაც უფრო კარგად დაამახსოვრდებოდა ევროკავშირს“.

თუ არა არანორმალურ მოვლენასთან საქმე? რატომ არ მისცეს მარგველაშვილს, თუნდაც ორი წუთი, რომ მადლობა გადაეხადა ქართველი ხალხის სახელით ევროპარლამენტისთვის?

– სააკაშვილი არ შეიძლება მჯდარიყო იმ ადგილას, სადაც სხედან ოფიციალური დელეგაციის წარმომადგენლები, ევროპარლამენტში თავისუფალ რეჟიმში დამსწრე სტუმრებისთვის არსებობს სპეციალური ლოჟები, იქ სხედან მოქალაქეები, რომლებიც ოფიციალურად არ არიან მიწვეულნი. მოქალაქე, რომელიც ითხოვს, რომ დაესწროს ევროპარლამენტის სესიას, როგორც წესი, ევროპარლამენტი ამის უფლებას აძლევს. აი, ასეთ ადგილას უნდა ყოფილიყო განთავსებული სააკაშვილი. რაც შეეხება საქართველოს დღევანდელ პრეზიდენტს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ძალიან გვიან გადაწყვიტეს მისი გამგზავრება ევროპარლამენტში, ამდენად მე არ მაქვს ინფორმაცია, ითვლებოდა თუ არა პრეზიდენტი მარგველაშვილი ოფიციალურად მიწვეულ სტუმრად, თუ ის ჩავიდა არაოფიციალური ვიზიტით. პროტოკოლის მიხედვით ისინი ცალ-ცალკე უნდა მსხდარიყვნენ, რადგან მიხეილ სააკაშვილი დღეს არ წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლებას და ის იყო არაოფიციალურად მიწვეული ევროპის სახალხო პარტიის წევრის მიერ. სააკაშვილი და მარგველაშვილი ერთ ლოჟაში პროტოკოლის მიხედვით არ უნდა მსხდარიყვნენ. მეორე მხრივ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ევროპარლამენტი პროტოკოლისგან თავისუფალია, ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ ამ თვალსაზრისით პროტოკოლი არ დაიცვეს.

— ფიქრობთ თუ არა, რომ უფრო წარმომადგენლობითი დელეგაცია უნდა ჩასულიყო ევროპარლამენტში ამ მნიშვნელოვან დღეს?

– რა თქმა უნდა, მე ვფიქრობ, ეს ღონისძიება ბევრად უფრო კარგად დაგეგმილი უნდა ყოფილიყო და ასე სპონტანური გადაწყვეტილებები არ უნდა მიეღოთ. საუბრობენ იმაზე, რომ ამ ღონისძიებას უნდა დასწრებოდა პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც შეუძლოდ გახდა, შესაძლოა ეს იყო მიზეზი, რომ პრეზიდენტი იქ სპონტანურად ჩავიდა, მაგრამ ეს არ ამართლებს მდგომარეობას, რადგან მათ რეზერვში მოქმედების სხვა გეგმაც უნდა ჰქონოდათ. ხელშეკრულების რატიფიცირება, რა თქმა უნდა, არ არის ამ დოკუმენტის სრულად ძალაში შესვლა, მაგრამ არის უდიდესი მოვლენა, ამიტომ ორი კომიტეტის თავმჯდომარის დონეზე ეს საკითხი არ უნდა გადაწყვეტილიყო. საქართველოს ხელისუფლებას ეს ღონისძიება რომ კარგად დაეგეგმა, წარმომადგენლობით დელეგაციით უნდა ჩასულიყო. სასურველი იყო, რომ ქვეყნის ხელისუფალს ევროპარლამენტის ტრიბუნა გამოეყენებინა და სიტყვით გამოსულიყო. ჩვენ შეგვეძლო უფრო პომპეზური და თეატრალიზებული ელფერი მიგვეცა ამ მოვლენისთვის, რაც უფრო კარგად დაამახსოვრდებოდა ევროკავშირს.

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

„ყოჩაღ, საქართველო!“

ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი ევროპარლამენტის მიერ საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა: „ყოჩაღ, საქართველო! შენ ახლახან კიდევ ერთი, კარგი ნაბიჯი გადადგი ევროპული გზისკენ“. – წერს აპატურაი. (ნოემბერი)

„მას ისე დევნიან, როგორც ტილიანს აბანოში“

ვლადიმერ პუტინმა საგანგებო ბრიფინგზე საქართველოს მესამე პრეზიდენტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მიხეილ სააკაშვილი ამჟამად ძებნაშია. „მას დევნის საქართველოს მოქმედი ხელისუფლებაც და არა ჩვენი ინიციატივით. ჩვენ ამაში ბრალი არ მიგვიძღვის. მას ისევე დევნიან, როგორც ტილიანს აბანოში და როგორც მე ვიცი, არც აშშ-ში აძლევენ სამუშაო ვიზას“. – განაცხადა პუტინმა. (ნოემბერი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

გრემის რწმუნებული დააკვეს

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამაძიებო ღონისძიებების შედეგად, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გრემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული, 1956 წელს დაბადებული გიორგი ლუტიშვილი სამსახურებრივი სიყალბის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, მიმდინარე წლის შემოდგომაზე, რთველის პერიოდში, ყურძნის მიღება-ჩაბარებისას, მოქალაქის სახელზე სისტემატურად გასცემდა ყალბ დოკუმენტაციას. ლუტიშვილმა აღნიშნული მოქალაქის სახელზე სულ გასცა 108 ტონა ყურძნის მიღება-ჩაბარების შესახებ ყალბი ცნობა, რის გამოც, კახეთის რეგიონის რამდენიმე ღვინის ქარხანამ 81 000 ლარის ზარალი მიიღო.

სამართალდამცველებმა, გიორგი ლუტიშვილი გურჯაანში, ნონეშვილის ქუჩაზე დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ნოემბერი)

GOEuro-ს წლის კვლევის მიხედვით, საქართველო მატარებლით მგზავრობის სიიაფის რეიტინგით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. საქართველოს მხოლოდ სამხრეთ აფრიკა უსწრებს.

GOEuro არის სამოგზაურო სივრცეში მულტიფუნქციური კვლევის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია. ის ადარებს და თვლის მატარებლით, ავტობუსითა და თვითმფრინავით მგზავრობის ღირებულებას.

აღნიშნული კვლევა GOEuro-მ 2014 წლის აგვისტოში გამოაქვეყნა.

პუტინი საქართველოს ხელისუფლებასთან შესახვედრად მზად არის, როგორ უნდა მოიქცეს ღარიბაშვილი?

„თუ მოსკოვში ჩასვლა გადაწყდა, ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი მარგველაშვილს იქ არ გაუშვებენ, ეს იქნება ისტორიული შეხვედრა. დავუშვათ, კარგად დამთავრდა ყველაფერი. ჯერ ერთი, მარგველაშვილს ამ ქულებს არ ჩააწერინებენ და მეორეც, მისი წასვლა იქნება მხოლოდ სიმბოლური“

18 დეკემბერს, როცა ევროპარლამენტში ჩვენი საკითხი იხილებოდა, მოსკოვში ვლადიმერ პუტინმა გრანდიოზული პრესკონფერენცია გამართა (მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან 1200-ზე მეტი ჟურნალისტი ესწრებოდა). რუსეთის პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე საქართველო და ქართველები რამდენიმე კუთხით ახსენა: „ვისმის, რომ ეს საქართველოსა და ქართველი ერის ტკივილია, მაგრამ 1919 წელსაც იყო ძალიან მძიმე მოვლენები, როცა რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესახებ განაცხადა, აფხაზეთმა კი რუსეთის შემადგენლობაში დარჩენა გადაწყვიტა. დიახ, რუსეთმა აღიარა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. შეიძლება თუ არა ასეთ პირობებში რამის გაკეთება? გულწრფელად გეტყვით, ეს ძალიან რთულია, მაგრამ პირველ ეტაპზე პოლიტიკური დიალოგი და პირდაპირი კონტაქტებია საჭირო. თუ ეს მოხერხდება, ჩვენ ამას ყველანაირად შევუწყობთ ხელს. საქართველომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან მოლაპარაკებები თავად უნდა გამართოს“.

რუსეთის პრეზიდენტი შეეხო საქართველოს ხელისუფლებასაც: „ჩვენ საქართველოს შიგნით ფართო კონტაქტები არ გვაქვს, თუმცა, ვხედავთ, რომ შიდაპოლიტიკური ბრძოლა არ წყდება... ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, მოსკოვში საქართველოს პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი ვიხილოთ“.

რასთან გვაქვს საქმე? ვლადიმერ პუტინი დასავლეთის მიერ დაწესებულმა სანქციებმა გატეხა, მართლა ქართველების ტკივილმა შეაწუხა თუ ახალ ხელისუფლებას სთავაზობს გულწრფელ თანამშრომლობას?

„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა:

— ბატონო სოსო, ერთი კვირის წინ, პუტინმა ლავროვი გამოიყვანა და ალაპარაკა, თუ საქართველოს ხელისუფლებიდან ვინმე შეგხვდება, კარგი იქნებაო. ახლა თვითონ გამოდის და იგივეს ლაპარაკობს. მაგრამ საქართველოდან რეაქცია ჯერჯერობით არ არის.

– დიპლომატიაში არსებობს საკვანძო სიტყვა, პუტინის შარშანდელ გამოსვლაში ეს საკვანძო სიტყვები იყო „არ ვიცი“. დღეს უკვე ამბობს, ძნელია, მაგრამ გამოსავალი არსებობსო. ე.ი. რა არის გამოსავალი? ე.ი. შესაძლებელია შეთავსება, რომ რაღაც ფორმით აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. რასაკვირველია, ის აღარ იქნება, რაც იყო კომუნისტების დროს, არც ფედერაცია იქნება. შეიძლება იყოს ანდორას მაგალითი – ორმაგი დაქვემდებარების თემა, აქ ფართო სპექტრია. ელემენტში არ ჩავიდა და აგერ, პუტინთან გავარდაო. არადა, სხვა გამოსავალი არ აქვს. ასეთ არაპოპულარულ ნაბიჯზე აუცილებლად უნდა წავიდეს, რადგან ხალხი ამ საკითხში მას მხარს უჭერს. დაუკვირდით, პუტინი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გამო, ძალიან აკრიტიკებს მოლდოვას, უკრაინას რა დღე დაყარა, ესეც ვნახეთ. ახლა ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაციაა ნიშნავს, ელაპარაკეთ ჩემი შუამავლობით. ასე ალაპარაკებდა თავისი შუამავლობით ერთმანეთს სომხეთსა და აზერბაიჯანელებს, თუმცა იქ სიტუაციის დარეგულირება არ აწყობდა და საქმე ბოლომდე არ მიიყვანა. ჩვენ აქვე წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რომ სანაცვლოდ პუტინი აუცილებლად რაღაცას მოგვთხოვს.

— რა უნდა მოგვთხოვოს, რა გაგვაჩნია?

– მთავარია, იყოს პოლიტიკური ნება. აქ მთავარი ის არის, რომ პუტინმა ჯერ ლავროვს ათქმევინა, ეტყობა, იფიქრა, ჩემი ჩარევა არ გახდება საჭიროო, მაგრამ ლავროვი არ აღმოჩნდა საკმარისი და იძულებული გახდა, თვითონ შემოგვთავაზოს.

— ბატონო სოსო, ახლა როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება?

– თუ ახლაც წაუყრუეს, ეს იქნება ძალიან დიდი პოლიტიკური შეცდომა. როგორც კი პრემიერ-მინისტრი მოსკოვში ჩავა, შენ წარმოიდგინე, რა მოხდება „რუსთავი 2“-სა და „ნაციონალურ მოძრაობაში“. წავა ამაზრზენი ტოქმოუები, მაგრამ ამ მომენტის გაშვება იქნება უდიდესი დიპლომატიური შეცდომა. თუ მოსკოვში ჩასვლა გადაწყდა, რასაკვირველია, ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი მარგველაშვილს იქ არ გაუშვებენ, ეს იქნება ისტორიული შეხვედრა. ვინც არ უნდა წავიდეს, ომის შემდეგ ყველა ასეთი შეხვედრა ისტორიულია. დავუშვათ, კარგად დამთავრდა ყველაფერი, ჯერ ერთი, მარგველაშვილს ამ ქულებს არ ჩააწერინებენ და მეორეც, მისი წასვლა იქნება მხოლოდ სიმბოლური. ჩემი აზრით, იქ უნდა წავიდეს პრემიერ-მინისტრი, მაგრამ შეიძლება ის ვერ რისკავს.

— რატომ?

– შეიძლება გაკიცხონ „ნაციონალებმა“ და ე.წ. ევროპელებმა და ამიტომ, მაგრამ ახლა, აუცილებლად უნდა მიაფურთხოს ეშმაკს ღარიბაშვილმა და წავიდეს მოსკოვში. ვიცი, აქ კვერცხდადებული ქათმებივით აკაკანდებიან არასამთავრობო ქალბატონები, მაგრამ ამათ ყური არ უნდა დაუგდოს. იმასაც იტყვიან, ევროპარიყო და ამას არ გვსაყვედურობს. ამას მიაქციეთ ყურადღება.

— ბატონო სოსო, პუტინი ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ოსებთან და აფხაზებთან თვითონ უნდა გამართოს დიალოგი. რა გამოდის, პირდაპირ გვშვებს ამ ხალხთან?

– პუტინს არ აწყობს ჟენევის ფორმატი, იქ ამერიკელებიც არიან, ეუთოც არის ჩართული. როდესაც ამბობს, თქვენ თვითონ დაელაპარაკეთ ოსებსა და აფხაზებსო, რაღაც სხვა გეგმა აქვს. ჯერ ერთი, თვითონ ელაპარაკეთო როდესაც ამბობს, ეს – რას მოგვთხოვს და... ნატოსკენ სვლა ცოტა შეასუსტეთო.

— მე მგონი, ნატომ თვითონ გვითხრა უარი...

– კი, ამერიკელებმა თვითონ გვითხრეს უარი პარტნიორობაზე, თუ პუტინი შეხვდება ჩვენს რომელიმე პირველ პირს, პირდაპირ ეტყვის, ბოლოს და ბოლოს, თვალები არ გაქვთ? ხომ ხედავთ, არავინ არ გიღებთ ნატოში, არც ევროკავშირში გიღებენ, ქვეყანაში კრიზისი გაქვთ, ამავე დროს, მე მაქვს 150-მილიონიანი ბაზარი, მთელი მსოფლიო ოცნებობს ამ ბაზარზე, თქვენ აგერ ხართ ყურისძირში, მიჩვეული ხართ ამ ბაზარს, ჩვენი მოსახლეობაც მიჩვეულია თქვენს პროდუქტებს, მოდით, ბოლომდე გაეხსნათ ეს ბაზარი. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა უარვყოთ „ნაციონალების“ მიერ დამკვიდრებული მანკიერი პოლიტიკა, ამათ აქვთ იდეოლოგია, ან ყველაფერი, ან არაფერი... ან ახლავე დაგვიბრუნე აფხაზეთი და სამაჩაბლო, გაიყვანე ჯარები, ბაზები, ან შენთან არაფერი სალაპარაკო არ გვაქვს. პუტინს საქართველოს საკითხებზე შემთხვევით არ უსაუბრია, თან დაუკვირდი, პრესკონფერენცია რომელ დღეს დაამთხვია, სწორედ მაშინ გამართა, როცა ევროპარლამენტში ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია მიმდინარეობდა. ამაზე არ უთქვამს, საქართველო ჩვენს ნინაალმდეგ მოქმედებსო, მოლდოვას სანქციები დაუწესა, ჩვენ იქით გვეუბნება, დამელაპარაკეთო...

— ჩვენ მიმართ რატომ არის ასე კეთილგანწყობილი?

– თუ დაუკვირდებით, ის თავიდან ახალი ხელისუფლების მიმართ, ცოტა ლოიალურია, ასე იყო შევარდნაძის დროსაც, საკაშვილის დროსაც. მას უნდოდა რკინიგზის გახსნა, ოჩამჩირეში დევნილების დაბრუნებაც, მაგრამ მაშინ არაფერი გამოვიდა. დღეს, როცა რუსეთს სანქციები აქვს დაწესებული, ის გაცილებით დამთმობი იქნება, ვიდრე მაშინ როცა ამ სანქციების პერიოდი ჩაივლის. თუ ჩვენ ისევ გავჯიუტდით და არ დაველაპარაკეთ, ეს ყველაფერი ერთი-ორი წლის შემდეგ ბუმერანგად დაგვიბრუნდება. ახლა ცხინვალთან გაფორმდება ისეთივე ხელშეკრულება, როგორიც აფხაზეთთან გაფორმდა და დაინყება ისევ მავთულხლართების გადმოწევა. დღეს ირაკლი ღარიბაშვილი ისე უნდა მოიქცეს, როგორც თავის დროზე შარლ დეგოლი მოიქცა. ამ კაცმა ყურადღება არ მიაქცია ამერიკელების პრეტენზიებს, ჩავიდა მოსკოვში, 12 დღე დარჩა და ურთიერთობა აღადგინა. ჩვენ დღეს სწორედ ასეთი კაცი გვჭირდება.

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

დევნილები აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ითხოვენ

„რეფორმებისა და მონიტორინგის საზოგადოებრივი კვლევის ცენტრმა“ სოციოლოგიური კვლევის შედეგებით დაადგინა, რომ დევნილების 90,00% აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მუშაობით უკმაყოფილოა, 88,13% არ ენდობა, 92,58%-ს კი საბჭოს არჩევნების ჩატარება სურს.

„ალიას“ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, დავით ზაქარაია ესაუბრა:

— დევნილების საბჭოს მიმართ უკმაყოფილება რაში გამოიხატება?

– შედეგები ასეთია: აფხაზეთის ავტონომიური უმაღლესი საბჭო არ გამოხატავს დევნილთა ინტერესებს, არ დგამენ შესაბამის ნაბიჯებს აფხაზეთის დეოკუპაციის მიმართულებით. აქტიურად არ მონაწილეობენ აფხაზეთის პრობლემატიკის გარშემო მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თანამდებობებს იყენებენ პირადი ინტერესებისთვის.

— რა პირად ინტერესებს გულისხმობთ?

– კითხვაში არ იყო, მაგრამ მათთან საუბრიდან გამომდინარე, ვიცით, რომ უმაღლეს საბჭოსა და მთავრობაში, ნეპოტიზმს ფართოდ აქვს ფეხი მოკიდებული. ასევე, არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადგილი აქვს არასახელმწიფოებრივ ქმედებებსა და ნაბიჯებს.

— არასახელმწიფოებრივი ნაბიჯები რაში გამოიხატება?

– ეს გამოიხატება დევნილი მოსახლეობის ინტერესების უგულებელყოფაში. ასევე, გამოიხატება იმაში, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე პირდაპირ აცხადებს, რომ უნდა ვაღიაროთ აფხაზეთის დამოუკიდებლობა. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი გვაზავა საუბრობს იმაზე, რომ ჩვენ უნდა ვესაუბროთ აფხაზეთს საკუთარ ჯარზე და სხვა სახელმწიფოებრივ სიმბოლოებზე. ამ ყველაფრის მერე, რაზეა საუბარი, არანაირ სახელმწიფოებრივი ინტერესი ამაში არ გამოიხატება. ამ ყველაფერს გრძნობს დევნილი მოსახლეობა და აქვთ შესაბამისი რეაქცია, რაც კვლევის შედეგებმა აჩვენა.

გარდა ამისა, არ ენდობიან საბჭოს ამჟამინდელ შემადგენლობას, იმიტომ, რომ ისინი არალეგიტიმურნი არიან. მეოთხედი საუკუნეა, არ არჩეულა საბჭო. შესაბამისად, მისი ნდობის ხარისხი არის ნულის ტოლი. დემოკრატიული სტრუქტურები მხოლოდ იმ შემთხვევაში არიან ლეგიტიმურები, თუ ხალხის ნდობას იმსახურებენ. შესაბამისად, გამოკითხულთა მაქსიმალური უმეტესობა ითხოვს, უმაღლეს საბჭოში ჩატარდეს არჩევნები და დევნილებს დაუბრუნდეთ ხმის უფლება. აფხაზეთის კონსტიტუციიდან უმაღლესმა საბჭომ ამოიღო თავი არჩევნებზე. ეს თავი, სხვათა შორის, არ ეკუთვნით მხოლოდ აფხაზეთიდან დევნილებს. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, კენჭი იყაროს სხვადასხვა წარმომადგენლობით ინსტიტუტებში. ამის უფლება არამარტო დევნილებს, არამედ სხვა მოქალაქეებსაც ჩამორთმეული აქვთ.

დევნილი მოსახლეობის უმეტესობა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ითხოვს. რას აპირებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია? – ამ კითხვით ვახტანგ ყოლბაიას პრესსამსახურის ხელმძღვანელს, ნინო კვარაცხელიას მივმართეთ. ავუხსენით, რომ „ალიას“ ეს ნომერი ამ კვირაში ბოლო გამოცემა იყო, კომენტარის ჩაწერა შემდეგი დღისთვის გადაგვიდო: „დღეს ვერაფრით მოხერხდება კომენტარის ჩაწერა, ხვალ დაგვიკავშირდით“. ჩავთვალეთ, რომ ეს მათი მხრიდან, კითხვაზე პასუხის გაცემისთვის თავის არიდება იყო.

დიანა ლიპარტელიანი

571 80 40 80

„რატომ არ ხდება აქამდე ბენზინის ფასების შესწავლა და კონტროლი. მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასებმა რამდენიმე ათეული პროცენტით დაიკლო. ჩვენდა გასაკვირად, არ ხდება ადეკვატური ასახვა ქართულ ბაზარზე“

ირაკლი ღარიბაშვილი: „რატომ არ ხდება აქამდე ბენზინის ფასების შესწავლა და კონტროლი“

როდის და რამდენით დააკლებენ ფასს „მებენზინეები“

„ალიას“ 17 დეკემბრის ნომერში გამოვაქვეყნეთ ვრცელი პუბლიკაცია სათაურით: „საწვავის გაიაფების მოთხოვნით აქციები იწყება“, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ „მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ და საზოგადოებრივი მოძრაობა „პროტესტი საწვავის ქართულ ფასებს“, 26 დეკემბრიდან იწყებენ საპროტესტო აქციებს. როგორც „მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ხელმძღვანელმა, ბექა კემულარიამ „ალიასთან“ საუბარში განაცხადა, დღეს 1 ლიტრი საწვავის შემოტანა, აქციზის გადასახადიანად, სატრანსპორტო, სარეალიზაციო, ადმინისტრაციული და ზედნადები ხარჯების ჩათვლით, საშუალოდ ჯდება 1 ლარი და 10 თეთრი. კემულარიას თქმით, როდესაც ამ საკითხის შესწავლა დაიწყეს, გამოიკვეთა ერთი საინტერესო, თუ გნებავთ, სკანდალური დეტალი:

„საქართველოს მთავრობამ დეკემბერში გამოაცხადა წინასატენდერო პირობები, ტენდერი ჩატარდება 2015 წლის დასაწყისში. ჯერ ერთი, საწვავის მოცულობა წინა წლებთან შედარებით გაზარდეს 30 პროცენტით და მეორეც – 1 ლიტრის შესყიდვა ხდება 1 ლარად და 50 თეთრად. 2014 წელს შეისყიდეს 70 მილიონი ლიტრი, ხოლო 2015 წლისთვის აპირებენ 100 მილიონი ლიტრის შესყიდვას. თუ გადავიანგარიშებთ, ყოველი მე-8 მანქანა გამოდის საჯარო მოხელის. გამოდის, დღეს საწვავის რეალური ფასი 1,50 ლარია, მაინც 40-თეთრიან მოგებაზე გადიან. აქ ვერ იტყვიან, დიდ პარტიას ვყიდით და ფასს ამიტომ ვამცირებთო, საწვავი იყიდება წლის განმავლობაში ტალონების საშუალებით. საწვავი არავის მიაქვს და რეზერვუარებში არ ასხამს. ესენი იტყუებიან, შემოტანისა და რეალიზაციის მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა.

დიახ, როგორც ჩანს, ჩვენს „მესაწვავეებს“ შეუძლიათ, მთავრობას კოჭი გაუგორონ და საწვავი მისცენ 60 თეთრით იაფად, მაგრამ სამაგიეროდ, ეს დანაკლისი აინაზღაურონ ჩვენი ჯიბიდან. როგორც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი, ვანო მთვრალაშვილი ამბობს „ალიასთან“, თურმე არსებობს რაღაც ფორმულა, სადაც პირდაპირ არის მითითებული შეწონილი ფასი, თურმე ნავთობკომპანიებს ქსელში დარჩენილი აქვთ ადრე შემოტანილი საწვავი, რომელიც ძვირი ღირდა და ჯერჯერობით გარდა ამისა, მთავრობა ფულს წინასწარ არ აძლევს, გადარიცხვები ხდება ყოველთვიურად. კი, ბატონო, სახელმწიფო იაფად რომ ყიდულობს, კარგია, მაგრამ ეს იმას ამტკიცებს, რომ გარეთ შეთანხმებული ფასებით გვასყიდებენ“.

პუბლიკაციაში ჩვენ დავსვით ერთი მარტივი შეკითხვა: საერთაშორისო ბაზარზე ბარელი ნავთობის ფასი იყო 120 დოლარი, ხოლო საცალო ქსელში ბენზინი იყიდებოდა 2.15-2.25 ლარად. ჩამოვიდა 60 დოლარზე, ანუ გაიაფდა 50%-ით. რატომ არ აკლებენ ფასსაც 50%-ით?!

18 დეკემბერს, ზუსტად ერთი დღის შემდეგ მთავრობის სხდომაზე იგივე შეკითხვა გაუჩნდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსაც:

„კონკურენციის სააგენტოს დავავალე მუშაობა და მოვკითხე პასუხი, რატომ არ ხდება აქამდე ბენზინის ფასების შესწავლა და კონტროლი. მსოფლიო ბაზარზე საწვავის ფასებმა რამდენიმე ათეული პროცენტით დაიკლო. ჩვენდა გასაკვირად, არ ხდება ადეკვატური ასახვა ქართულ ბაზარზე. ასე რომ, მინდა კონკურენციის სააგენტოს ვთხოვო, 10 დღის ვადაში საზოგადოებას წარუდგინოს, რასთან გვაქვს საქმე. მე ვიცი, რომ ბენზინის ფასმა საქართველოში დღეს დაიწია, მაგრამ ეს უნდა იყოს ადეკვატური და მსოფლიო ბაზართან შესაბამისი“.

„ალია“ დაინტერესდა, კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებს კონკურენციის სააგენტო პრემიერის დავალების შესასრულებლად და მის ხელმძღვანელს, გიორგი ბარაბაძეს ესაუბრა:

— ბატონო გიორგი, ჩვენ „ალიაში“ გამოვაქვეყნეთ სტატია, სადაც თქვენს სამსახურზეც იყო საუბარი...

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ვისოლი	გალფი	რომპეტროლი	ლუკოილი	სოკარი
სუპერი – 2,11	სუპერი – 00	ევრო-98 – 2,19	ევროსუპერი – 2,09	სუპერი – 2,10
პრემიუმი – 2,06	პრემიუმი – 2,09	ევროპრემიუმი – 2,08	პრემიუმავანგარდი – 2,01	ნანოპრემიუმი – 2,01
ევრორეგულარი – 1,91	ევრორეგულარი – 1,99	ევრორეგულარი – 1,92	ევროპრემიუმი – 00	ევრორეგულარი – 1,91
რეგულარი – 1,88	რეგულარი – 1,89		ევრორეგულარი – 1,84	ნანორეგულარი – 1,88

გალში მეგრულენოვანი არხი იხსნება?

გალის რაიონის დე ფაქტო გამგებელი თემურ ნადარაია გალის რაიონის საგანმანათლებლო საშუალო სკოლებში მეგრული ენის სწავლების შემოღებასა და მეგრულ ტელემაუწყებლობას გეგმავს. სავარაუდოდ, ტელევიზიის სახელწოდება „სამურზაყანო“ იქნება. ახალი ამბები ეთერში მეგრულად გავა. ფილმები კი დუბლირებული იქნება. ასევე ნაჩვენები იქნება მეგრულ სიმღერებზე გადაღებული ფილმები. თავიდან ტელევიზია დღე-ღამეში მხოლოდ 5 საათი იმაუწყებლებს. ტელევიზია გალის რაიონში მაუწყებლობას, სავარაუდოდ, 1-ლი მარტიდან დაიწყებს. ტელეგადაცემების ნახვა ზუგდიდის რაიონის დაბალი ზონის სოფლებშიც იქნება შესაძლებელი, თუმცა როგორც ტელევიზიის დამფუძნებლები ამბობენ ტელევიზიის სიგნალი მთელ დასავლეთ საქართველოს დაფარავს.

რამდენად შეეფერება ეს ინფორმაცია სიმართლეს და რა პოზიცია აქვს საქართველოს ხელისუფლებას?

„ალიას“ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრი, პაატა ზაქარეიშვილი ესაუბრა:

— ბატონო პაატა, რამდენად შეეფერება სიმართლეს აღნიშნული ინფორმაცია?

– ვერ გეტყვით, რამდენად არის ეს სიმართლე, რადგან ჩემამდე ეს ინფორმაცია არ მოსულა. ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული კონტაქტები გალის რაიონთან, მათ შორის, სკოლის დირექტორებთან, მასწავლებლებთან, ექიმებთან, ანუ იმ ადამიანებთან, რომლებსაც იქ ჭკუა მოეკითხება და ანგარიშგასაწევი ძალაა. ამ ტიპის არანაირი მინიშნებებიც არ ყოფილა, ანუ ჩვენ ამ ეტაპზე არ ვფლობთ უტყუარ ინფორმაციას ამის შესახებ.

— პერიოდულად ასეთი სეპარატისტული და პროვოკაციული განცხადებები თავს იჩენს ხოლმე, რატომ ხდება ამ თემების წინ წამოწევა?

– საბჭოთა კავშირის დროიდან მოყოლებული, ყოველთვის არსებობდა გარკვეული დეზინფორმაციის სამსახურები, რათა მუდმივად ტრიალებდეს ეს ინფორმაცია და ბევრი შეიძლება ემოციურ ფონზე წამოაგო, რითაც შექმნას საზოგადოებრივი დაძაბულობა. 20 წელია ამ სფეროში ვარ და ეს საკითხი მეტ-ნაკლები რეგულარულობით ყოველთვის იყო. ექსპერტი არ ვარ, თორემ რომ ჩავუჯდე ჩემს კომპიუტერს, ნახევარ საათში ამოვყრიდი უამრავ ინფორმაციას, რამდენჯერ ცდილობდა აფხაზური დე ფაქტო ხელისუფლება, ეს თემა წამოეწია საზოგადოებაში და სულ ახერხებდა საზოგადოების ენებათაღელვას. ასეთი რამის გაკეთება არარეალისტურია, შეუძლებელია, ამას ფული სჭირდება, უამრავი რამე სჭირდება.

— ფული რა პრობლემაა მერე, რუსეთი მისცემს.

– ფული ამ საქმეში მინიმალური პირობაა, მან უნდა მოიტანოს შედეგი, თორემ ისე ვინ მოგცემს ფულს? თუ იცი, რომ ფულს გადაყრი, უარს იტყვი ამ პროექტზე. ვერასდროს იმუშავა ამ თემამ. გამოდის ერთი გაზეთი აფხაზეთში, რომელსაც 200 კაცის მეტი არ კითხულობს, რადგან ეს თემა ვერ მუშაობს ადგილზე. აბსოლუტურად არაა ამაზე მოთხოვნა და იმიტომ. განწირულია მარცხისთვის. ეს ხდება იმიტომ, რომ ქართველ საზოგადოებაში თემა მუდმივად შემოაგდონ, როგორც ბუხარში დამატებითი შეშა, რათა მუდმივად გიზგიზებდეს ცეცხლი.

არარეალური, შეუძლებელი პროექტია, მით უმეტეს გალის რაიონში. შეიძლება, თითოეროლა კაცს ეზმანება რაღაცა, მაგრამ დამერწმუნეთ, ერთ პროცენტზეც ვერ გავა ამ ტიპის პროექტის გავლენა. მეეჭვება, სერიოზულ ადამიანს უნდოდეს ამ პროექტის განხორციელება, მაგრამ ვისაც იდეა მოუვა, თამამად ვეუბნები, რომ ეს არის განუხორციელებელი. აბსურდია ამ ფონზე გარედან შემოტანილმა პროექტმა იქონიოს გავლენა საქართველოს მოსახლეობის თუნდაც ნაწილზე. ეს არაბუნებრივი პროექტია.

ჟანა ასანიძე
568 00 14 14

მეშვიდე გვერდიდან

სამწუხაროდ, მაშინ ვერ დაგიკავშირდით, საიტზე ტელეფონის რა ნომერიც გაქვთ მითითებული, არავინ პასუხობს, ელექტრონული ფოსტითაც გამოგიგზავნეთ წერილი, მაგრამ ესეც უპასუხოდ

„პრემიერ-მინისტრის დავალების შესაბამისად, კონკურენციის სააგენტო ანგარიშს საზოგადოებას უახლოეს დღეებში წარუდგენს. მოკვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მოკვლევის დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, უხერხული იქნება. თუმცა, ინფორმაცია, მონაცემები დამუშავების პროცესშია და ყველაფერზე გაცემული იქნება პასუხი“

ტერესი ძალიან დიდია. 12 ნოემბრიდან ჩვენ დავიწყეთ ნავთობპროდუქტების ბაზარზე არსებული ვითარების შესწავლა. ამ დროისთვის უკვე გამოთხოვილი გვაქვს ინფორმაცია სტატისტიკის ბიუროდან, შემოსავლების სამსახურიდან, მეზობელი სახელმწიფოებიდან და ასევე, საწვავის ბაზარზე მოქმედი 100-ზე მეტი ეკონომიკური აგენტისგან. საუბარია ძალიან ბევრ და ტევად ინფორმაციაზე, რაც დამუშავების პროცესშია. ჩვენ ვიკვლევთ 2008-2014 წლების პერიოდს. პრემიერ-მინისტრის დავალების შესაბამისად, კონკურენციის სააგენტო ანგარიშს საზოგადოებას უახლოეს დღეებში წარუდგენს. მოკვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მოკვლევის დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, უხერხული იქნება. თუმცა, ინფორმაცია, მონაცემები დამუშავების პროცესშია და ყველაფერზე გაცემული იქნება პასუხი.

— ბატონო გიორგი, გასაგებია, რომ ჯერ მოკვლევა არ გაქვთ დამთავრებული, მაგრამ ზოგადად მაინც შეგიძლიათ მითხრათ, რა ტენდენცია იკვეთება, საზოგადოების პრეტენზიები ხომ სამართლიანია?

– ცხადია, ეს ეჭვები ლეგიტიმურია და სწორედ ამ ეჭვების დასაბუთება უნდა მოხდეს იმ პროცედურების დაცვით, რაც არის გაწერილი კანონმდებლობით. საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს უნდა გაეცეს დასაბუთებული პასუხები.

— საწვავის ბაზრის გარდა, ამ ეტაპზე მოკვლევას კიდევ რომელ სფეროებში ატარებთ?

– საწვავის გარდა, კიდევ არის სამი თემა. ჩვენ მოგემართა „პურ-პროდუქტების ასოციაციამ“, რომ აქ არის პრობლემები. უკვე შეიქმნა მოკვლევის ჯგუფი და დაიწყო ინფორმაციის მოპოვება. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც საჭიროა ბაზრის შესწავლა. ასევე დაწყებულია ყავის ბაზრის მონიტორინგი. ეს პროდუქტი მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნადია, სამეულშიც კი შედის. აქ უკვე მოკვლევა კი არა, მხოლოდ მონიტორინგი ტარდება, სიტუაციის ანალიზი გვჭირდება. ასევე მოკვლევა გვაქვს დაწყებული „ბალნეო-სერვისის“ საკითხზე, საუბარია თერმული წყლების შესაძლო მონოპოლიზაციაზე. ხაზს ვუსვამ, შესაძლო მონოპოლიზაციაზე, მე არ მაქვს უფლება, წინასწარ რამეზე ვისაუბრო. აქაც შექმნილია ჯგუფი და დაწყებულია მუშაობა. შემოსულია კიდევ რამდენიმე განცხადება, რომელიც განხილვის სტადიაშია. როდესაც განცხადება ან საჩივარი შემოდის, 3 დღეში მოწმდება მისი ფორმალური მხარე და შემდეგ ერთი თვის განმავლობაში ვწყვეტთ, რამდენად დასაშვებია მოკვლევის დაწყება.

— თქვენი ინიციატივით არ მოქმედებთ და მხოლოდ საჩივრებს ელოდებით?

– არა, ჩვენ შეგვიძლია, სამი მიზეზით განვახორციელოთ მოკვლევა: ერთია განცხადება, მეორე – საჩივარი და მესამე – საკუთარი ინიციატივა.

— ხომ არ აპირებთ ფარმაცევტული ბაზრის კვლევას? ამ სფეროშიც ძალიან დიდი პრეტენზიებია საზოგადოებისა და სპეციალისტების მხრიდან.

– საზოგადოების მხრიდან ამ კუთხით ინტერესი არსებობს, გეთანხმებით, მაგრამ ჯერ მოკვლევის შესახებ გადაწყვეტილება არ მიგვიღია. ეს ძალიან შრომატევადია, რთული საკითხია და დიდი რესურსიც სჭირდება. ჩვენ ახლად შექმნილი სააგენტო ვართ, დაკომპლექტებაც არ არის დასრულებული. თუმცა გეტყვით, რომ ეს საკითხი, ალბათ, ჩვენი ყურადღების ქვეშ მოექცევა.

— პრემიერ-მინისტრმა თქვენ მოგცათ 10 დღე, ამ ვადაში საზოგადოებას უნდა წარმოუდგინოთ ანგარიში იმის შესახებ, რა ხდება საწვავის ბაზარზე და გვიპასუხოთ, რატომ არ მცირდება საქართველოში ფასები მსოფლიო ბაზრის ადეკვატურად, მოასწრებთ?

– დიახ, ჩვენ 10 დღეში გვექნება დეტალური ანალიზი, რა მდგომარეობაა, რა უნდა გაკეთდეს, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას. ამ ვადაში პრემიერ-მინისტრსაც მიეწოდება ანგარიში და საზოგადოებასაც.

„შეიძლება გამოიკვეთოს დარღვევები, ანუ დომინირების ბოროტად გამოყენება და გარიგებები. ამის შემდეგ ჩვენ გვაქვს დაჯარიმების უფლება ბრუნვის 5 პროცენტით. განმეორებით შემთხვევაში დარღვევი ჯარიმდება ბრუნვის 10 პროცენტამდე. ამის შემდეგ წესდება მუდმივი მონიტორინგი, შეიძლება მოკვლევა აღარ ჩავატაროთ, მაგრამ საქმის კურში ვიქნებით. თუ ისევ გამოვლინდა დარღვევები, ისევ მივიღებთ შესაბამის ზომებს“

— კი, ბატონო, წარმოადგენთ ანგარიშს, გავეცნობით, რომ დარღვევები აღმოაჩინეთ, მაგრამ ამის შემდეგ რა ხდება, ანგარიში ხომ არ დარჩება მხოლოდ ქაღალდზე?

– შეიძლება გამოიკვეთოს დარღვევები, ანუ დომინირების ბოროტად გამოყენება და გარიგებები. ამის შემდეგ ჩვენ გვაქვს დაჯარიმების უფლება ბრუნვის 5 პროცენტით.

— კარგი, დააჯარიმეთ კომპანია, გადაიხადა და ისევ გააგრძელა მაიმუნობა, ანუ არ შეამცირდა ფასები საწვავზე, ამის შემდეგ რა ხდება?

– განმეორებით შემთხვევაში დამრღვევი ჯარიმდება ბრუნვის 10 პროცენტამდე. ამის შემდეგ წესდება მუდმივი მონიტორინგი, შეიძლება მოკვლევა აღარ ჩავატაროთ, მაგრამ საქმის კურში ვიქნებით. თუ ისევ გამოვლინდა დარღვევები, ისევ მივიღებთ შესაბამის ზომებს. აი, სულ ეს არის, რის თქმაც ამ ეტაპზე შემიძლია.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

მშობლებს ბავშვების აცრისკენ მოუწოდებენ

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას მოუწოდებს, პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა ბავშვებს დროულად ჩაუტარონ. გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსის, ხათუნა ზახაშვილის განცხადებით, მშობლებს ყურადღება მართებთ, რადგან პნევმოკოკი განსაკუთრებით საშიშია 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. რისკის ჯგუფებს წარმოადგენენ დღენაკლული, მცირეწონიანი და ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვები.

„ალიას“ ხათუნა ზახაშვილი ესაუბრა:

— ქალბატონო ხათუნა, ინფექცია გახშირებულია და ამიტომ მოუწოდებთ მოსახლეობას ვაქცინაციისკენ?

– საქართველოს ვალდებულება აქვს, მუდმივად დანერგოს ახალი ვაქცინები, გაზარდოს იმ ვაქცინათა რიცხვი, რომლითაც უნდა ავცრათ ბავშვები, რათა ისინი დაცული იყვნენ სიცოცხლისთვის საშიში ინფექციებისგან. წელს, ქვეყანამ შეძლო, რომ პნევმოკოკური ვაქცინა დაენერგა. ავადობის ფონი შეცვლილი არ არის. ეს ფონი, ზოგადად, არის მაღალი იმ ქვეყნებში, სადაც არ ტარდება პნევმოკოკური ვაქცინა და როგორც იქნა, ქვეყანაში გაგვიჩნდა იმის ფუფუნება, რომ ჩვენც გვქონდეს ეს ვაქცინა და ჩვენი ბავშვებიც იყვნენ დაცულები.

— როგორ ვრცელდება ბაქტერია და რა სიმპტომები ახლავს, როგორ უნდა ამოვიცნოთ?

– პნევმოკოკები ხველისა და ცემინების დროს გამოიყოფა და წვეთოვანი გზით ვრცელდება. ვერავინ ამოიცნობს ამ ბაქტერიას ლაბორატორიული კვლევის გარეშე. სიმპტომები გამოიხატება პნევმონიით, ანუ ფილტვების ანთებით, ბავშვებში ყურის ანთება, შუაყურის ანთება, ხშირია მენინგიტით, რომელიც ამ მიზეზითაა გამოწვეული. ყველამ ვიცით, ბავშვები ყველაზე ხშირად ფილტვების ანთებით ავადდებიან, ასევე ყურისა და შუაყურს ანთებითი დაავადებით. ამ ყველაფერს კი სწორედ პნევმოკოკი იწვევს, რომელსაც, თუ ავცრით, რისკს შევამცირებთ.

— თქვენ აღნიშნავთ, რომ ინფექცია, განსაკუთრებით საშიში 2 წლამდე ბავშვებისთვისაა. რატომ მაინცდამაინც 2 წლამდე, 3-4 წლის ბავშვები?

– იმიტომ, რომ 2 წლამდე ასაკის ბავშვებში, ყურისა და ფილტვებს ანთება უფრო მაღალი რისკის შემცველი დაავადებაა. ყურის ანთება შემდეგ ძალიან ადვილად გადადის მენინგიტში, იმ პერიოდში, როცა კარგად არ არის ჩამოყალიბებული თავის ტვინისა და მისი გარსების დამცველობითი მექანიზმები.

— ბაგა-ბაღები გააფრთხილეთ?

– ამ დროისთვის ამ საკითხზე ინფორმირებულია განათლების სისტემა და შესაბამისი სამსახურები, თუმცა, მთავარია მშობლების აქტიურობა, რომ ბავშვები ასაცრელად მიიყვანონ. თუ მშობელმა არ მოინდომა, ისე არაფერი გამოვა.

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

„ამ შენობის გვერდით ევროპის სასამართლოა, რომელმაც თქვა, რომ სააკაშვილი დანაშაულს სჩადიოდა“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ეკა ბესელიას თქმით, მიხეილ სააკაშვილის ევროპარლამენტში ყოფნა უხერხულობას უქმნის არა ევროპარლამენტს, არამედ მის მეგობრებს, რომლებმაც ის სესიაზე მიიწვიეს.

„ამ შენობის გვერდით არის ევროპის სასამართლო, რომელმაც თქვა, რომ საქართველოს ყოფილი პირველი პირი სჩადიოდა დანაშაულს“. – განაცხადა ბესელიამ. (ნოემბერი)

ქედაში სამართალდამცველებმა შველი იპოვეს

ქედის მუნიციპალიტეტში, ქედის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა შველი იპოვეს. მას ფეხი აქვს დაზიანებული. პოლიციამ შველი ბათუმში გადმოიყვანა და ამჟამად ბათუმის მთავარ სამმართველოში გადაიყვანა. (ნოემბერი)

რა ჯანდაბად მინდა მინისტრი წულუკიანი და მისი მხარდამჭერი დეპუტატები რომელიც კრიმინალის მოკავშირეა და არა ჩემი – კანონმორჩილი მოქალაქისა?!

პარლამენტი „იარაღის შესახებ კანონის“ ახალ ვარიანტზე მუშაობს. ამ კანონპროექტის ავტორი იუსტიციის სამინისტროა. მინისტრ თეა წულუკიანს, ეტყობა, ჰგონია, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი რიგზეა. რაც არის, იმაზე უკეთეს კანონს რომ ილებდნენ, ვინ ოხერი ამოიღებდა ხმას, მაგრამ არსებულ კანონს აუარესებს თეა წულუკიანი. რაც შეეარდნაძის ხელისუფლებამ დაუკანონა ხალხს, რისი ნებაც მისცა, იმ უფლებას ართმევს და ეს საპარლამენტო უმრავლესობაც, მინისტრს ამ სისულელეზე თავს უქნევს. „ალიამ“ „იარაღის შესახებ“ ახალ კანონპროექტში ბევრი ხარვეზი აღმოაჩინა და შესაბამისად, ამ თემას არაერთი პუბლიკაციაც მიუძღვნა. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა, ბევრი ჩვენი შენიშვნა გაითვალისწინა და იუსტიციის სამინისტროს არაერთი ისეთი ცვლილების შეტანა აიძულა, რომელთა შესახებაც პირველები ჩვენ ვწერდით. თუმცა, მთავარი უკულმართობა, აბსურდი და მე ვიტყოდი, დანაშაულებრივი ნორმა, ახალ კანონში მაინც რჩება. საქმე ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესებს ეხება. იუსტიციის სამინისტრო ითხოვს, რომ იარაღის მფლობელს ეს იარაღი დაშლილ მდგომარეობაში ჰქონდეს შენახული. ამ მოთხოვნის მთელი აბსურდულობა რომ წარმოვაჩინო, ისევ იმას ვიტყვი, რაც უკვე არაერთხელ დამიწერია. წარმოიდგინეთ, რომ სახლში შემოგეჭრათ შეიარაღებული მძარცველი, იარაღი, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, დაშლილ მდგომარეობაში გაქვთ შენახული, დაეშვათ, კარადაში. კარადიდან ილებთ იარაღს, ოთახში შეიარაღებული ყაჩაღია, თქვენ იარაღის აწყობას იწყებთ, მერე მასში მჭიდს დებთ, რომ მძარცველს ესროლოთ თავდაცვის მიზნით. ახლა დაჯდნენ და დათვალონ თეა წულუკიანმა და ამ ნორმის სხვა ავტორებმა და ჩვენმა დეპუტატებმა, რამდენ წუთს მოანდომებს ამ ყველაფერს იარაღის ყველაზე სწრაფად ამწყობი მოქალაქე და მერე მითხრან – რომელი ჭკუათმყოფელი მძარცველი დაადგება მსხვერპლს იარაღის აწყობას, რომ მერე, იმავე იარაღით ის დაჭრას, ან მოკლას? ვიდრე იარაღს აწყობს, ის შეიარაღებული მძარცველი, შუბლს გაუხვრეტს მსხვერპლს. უარეს იდიოტობას ნაღდად ვერ მოიფიქრებ კაცი, თუ ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ეს წესი დარჩება კანონპროექტში და დეპუტატები მას წინააღმდეგობას არ გაუწევენ, კანონს ამ დანაშაულებრივი ნორმით მიიღებენ. ხალხი იარაღს თავდაცვისა მიზნით ყიდულობს, ამ დროს, ეს კანონი იარაღს თავდაცვის ფუნქციას უკარგავს. იარაღის ეფექტურად გამოყენება მეტწილად იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად იმოქმედებ ამ იარაღით. აი, ამის უფლებას ახალი კანონი წაართმევს იარაღის კანონიერ მფლობელებს.

რა გამოდის? თეა წულუკიანის ინიციატივით, მოქალაქეები შეიარაღებული კრიმინალების პირისპირ დაშლილი იარაღით, ანუ, ფაქტობრივად, უიარაღოდ რჩებიან, უთანასწორო მდგომარეობაში. თეა წულუკიანიც და პარლამენტის ის წევრებიც, ვინც კანონის ამ მუხლს დაუჭერენ მხარს, ამით დაამტკიცებენ, რომ ფეხებზე ჰკიდიათ ხალხის უსაფრთხოება. საბამისად, ეს ადამიანები გამოდიან კრიმინალთა მოკავშირენი. სხვა რა შეიძლება უწოდო ისეთ წინდაუხედავ პოლიტიკოსს, რომელიც კანონმორჩილ მოქალაქეს თავდაცვის ერთადერთ საშუალებას ართმევს, ართმევს იმ უპირატესობას, რაც კრიმინალთან პირისპირ დარჩენილს შეიძლება ჰქონდეს კონკრეტულ შემთხვევაში ოჯახის დასაცავად და შესაბამისად, აძლიერებს კრიმინალს, ძალთა ბალანსს ყაჩაღებისა და ავაზაკების სასარგებლოდ ცვლის. შეგნებულად ემხრობიან კრიმინალს თუ უნებლიეთ გამოდიან მისი მხარდამჭერები, ეს თავად გაარკვიონ თეა წულუკიანმა და ჩვენმა დეპუტატებმა. ხელისუფლება იმისთვის მჭირდება, რომ საფრთხისგან დამიცავს, მათ შორის, კრიმინალისგან. შემიწყოს ხელი, მომცეს საშუალებები, რომ ასეთ საფრთხეებს გავუმკლავდე. თეა წულუკიანი და პარლამენტი კი, ასეთ დაკანონებულ ერთადერთ უფლებასაც მართმევენ, კანონმორჩილ მოქალაქეს მასუსტებენ, ამით კრიმინალებს აძლიერებენ და ჩემი დაყაჩაღებისა თუ სხვა ზიანის მოყენების შანსს უზრდიან. ახლა მითხარით, რა ჯანდაბად მინდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც კრიმინალის მოკავშირეა და არა ჩემი – კანონმორჩილი მოქალაქისა?! ვიდრე გვიანი არ არის, დაფიქრდით, დეპუტატებო! არ მისცეთ ხმა ისეთ კანონს, რომელიც კრიმინალური სამყაროს მეკავშირეებს გაგხდით. თუ ამას გააკეთებთ, თქვენი ნამოქმედარის შედეგიც არ დაახანებს. არაერთი ისეთი შემთხვევა მოხდება, აი, ზემოთ რომ ვახსენე – ბევრ მოქალაქეს დააზარალებენ და შეიწირავენ კრიმინალები და მხოლოდ იმიტომ, რომ მათ თავდასხმის მომენტში, იარაღი დაშლილი ჰქონდათ და მისი აწყობა ვერ მოასწრეს, რადგან საფრთხის დროულად თავიდან არიდების შანსს, მათ ახალი კანონი აუკრძალავს.

ლევან ჯაველიშვილი

577 51 73 37

რატომ მოითხოვა პრემიერმა პროკურატურის რეფორმირება?

ირაკლი ღარიბაშვილმა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს პროკურატურის დამოუკიდებლობის გაზრდისა და ანგარიშვალდებულების მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით, უწყების ინსტიტუციური გარდაქმნა დაავალა. ეს ჩვენი წინასაარჩევნო დაპირება იყო. მთავრობის მეთაურმა დაინტერესებულ არასამთავრობოებს მოუწოდა, ჩაერთონ სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში და გამოხატონ თავიანთი აზრი, რათა საუკეთესო და ყველაზე კარგად დაბალანსებული მოდელი შეიქმნას.

სანამ სამუშაო ჯგუფი შეიქმნება და მუშაობას შეუდგება, „ალიამ“ გაარკვია, რომ ორგანიზაცია „ინსტიტუციური რეფორმის მხარდაჭერის პროგრამის“ დირექტორს ვახუშტი მენაბდეს პროკურატურის რეფორმირების პროექტი, თავის ჯგუფთან ერთად, უკვე მოუმზადებია და საკონსტიტუციო კომისიისთვის წარუდგენია.

ვის ექნება მთავარი პროკურორის წარდგენის უფლება? ვინ უნდა დანიშნოს და ვისთან იქნება ანგარიშვალდებული?

„ალიას“ ვახუშტი მენაბდე ესაუბრა:

– ჩვენი მოდელი ემყარება სამ პრინციპს. ეს არის პოლიტიკური გავლენისგან დამოუკიდებელი პროკურატურა. მეორე – ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტთან და მესამე – პროკურატურა იქნება მთავრობის გარეთ. ის იქნება დამოუკიდებელი. დღევანდელ არსებულ სისტემას რომ შევხედოთ, მთავარი პროკურორის დანიშვნაში მონაწილეობს იუსტიციის მინისტრი და პრემიერი. ეს თავისთავად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ეს ადამიანი არის პოლიტიკური გუნდის წევრი, როცა მთავარი პროკურორი ინიშნება. ჩვენ გვინდა, რომ ეს სისტემა შევცვალოთ, პროფესიონალური ნიშნით შევარჩიოთ და არა პოლიტიკურად ლოიალური პირი. მას პარლამენტი მისცემს მანდატს, პოლიტიკურ ნდობას მიანიჭებს, ამის შემდეგ მთავრობა განუსაზღვრავს მას სისხლის სამართლის პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც იმოქმედებს მთავარი პროკურორი და პროკურატურა. ჩვენი ხედვა ამოდის იქიდან, რომ კანდიდატები ნეიტრალურად უნდა შეირჩეს და ამას გაანახორციელებს პრეზიდენტი, წარადგენს სამ კანდიდატს პარლამენტში და იქ შეთანხმების საფუძველზე კონკრეტულ პირზე შეჯერდებიან, მხარს დაუჭერენ.

— პოლიტიკური მარგინალიზაციის საფრთხე მუდამ არის საქართველოში, მიუხედავად ელიტების გამოხატვის გარეშე მთავარი პროკურორის არჩევა როგორ წარმოგიდგენიათ?

– რა თქმა უნდა, ასპროცენტიანი დაზღვევა არ არსებობს, მაგრამ ეს მოდელი ამცირებს რისკს და უფრო ღიას ქმნის პროცესს. ამცირებს შესაძლებლობას, პოლიტიკური ლოიალობის მიხედვით დაინიშნოს პირი მთავარ პროკურორად.

— რამე იცვლება საგამოძიებოს კუთხით? უამრავი ფაქტი არსებობს, როცა საქმეები ნაცნობ-მეგობრობითა და „ზემოდან“ მითითებით, წლების მანძილზე თაროებზე იმტვერება.

– სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში, დანაშაულის გამოძიების მექანიზმი წარმოგვიდგენია, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, პროკურატურისგან უნდა იყოს დისტანცირებული. მან უნდა გამოიძიოს საქმეები პროკურატურისა და მისი თანამშრომლების წინააღმდეგაც. ერთი ნიუანსი კიდევ, ფაქტობრივად, ძალიან რთულია მთავარი პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება და საპარლამენტო კონტროლის განხორციელება ამ საქმიანობაზე, ჩვენი მოდელით პარლამენტი უფრო ქმედითი ხდება. მინისტრთა კაბინეტში არის სისხლის სამართლებრივი დევნის ფუნქცია, ჩვენ გვინდა, რომ ეს გავიდეს კაბინეტიდან და ძალაუფლების ცენტრი მთავრობიდან გადავიდეს პარლამენტში, რაც საერთო სისტემური თვალსაზრისითაც გამართლებულია.

— თქვენი მოდელით, გენისპექციას ხომ არ აუქმებთ, ბევრი საჩივრები შესულია კონკრეტულ პროკურორებზე, მაგრამ არავინ დასჯილა?

– ეს საკითხი ჩვენი მოდელით არ არის დარეგულირებული, მხოლოდ კონსტიტუციის დონეზე გვაქვს გაკეთებული, მაგრამ ვაგრძელებთ მუშაობას და საზოგადოებას შევთავაზებთ, როგორც დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოსთან დაკავშირებულ საკითხებს, ისე შსს-სთან დაკავშირებულს. აქ განვიხილავთ გენინსპექციების თემას. რაცა შევიმუშავებთ საბოლოო სახეს, იქ იქნება დეტალურად მოცემული და აღწერილი, რა პრობლემებია შიდასტრუქტურებს შორის.

ჟანა ასანიძე

568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

მოკლული შამუგიას ოჯახი განაჩენს აპროტესტებს

40 წლის გოდერძი შამუგიას მშობლები სასამართლოს განაჩენს აპროტესტებენ. საქმე ეხება 4 თვის წინ მომხდარ ყაჩაღობას, დამნაშავე დათო შელიამ მანქანის გატაცების მიზნით, შამუგია მოკლა და შემდეგ ამავე მანქანით სცადა ოჯუპირებულ ტერიტორიაზე გადაყვანა, გზაზე მას ავარია შეემთხვა, რა დროს ის სამართალდამცავებმა დააკავეს.

მოსამართლე დავით გელაშვილმა მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ოჯახმა მოსამართლის განაჩენი გააპროტესტა, ოჯახი აცხადებს, რომ ეს იყო წინასწარ განზრახული მკვლელობა და რომ დამნაშავე არა 12, არამედ 18 წლით თავისუფლების აღკვეთას იმსახურებდა. (ნოემბერი)

ხალხი, როგორც ჩანს, დავით ნარმანიასაც და მის გუნდსაც უკვე ფეხებზე ჰკიდია

სად არიან ახლა თინა ხიდაშელი, გუგული მაღრაძე, დავით საგანელიძე, ზვიად ძიძიგური და სხვები, ვინც წინასაარჩევნოდ „სითი პარკის“ თბილისიდან დაუყოვნებლივ გაძევებას ჰპირდებოდა ხალხს?

თბილისის ახალ მთავრობას, რაც ხელისუფლებაში მოვიდა, ჯერ არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ გაუკეთებია. „ქართული ოცნება“ „სითი პარკს“ ბრალს სდებდა გიგი უგულავასთან კორუფციულ გარიგებაში და დავით ნარმანია ხალხს ეუბნებოდა, რომ, თუ თბილისის მერი გახდებოდა, „სითი პარკთან“ მერია შეწყვეტდა კონტრაქტს.

ივანიშვილის ხათრით, თბილისმა ნარმანია მერად აირჩია და საკრებულოში „ქართული ოცნება“ უმრავლესობით მოიყვანა – 25 დეპუტატი ჰყავთ „მეოცნებეებს“. თუმცაღა, თბილისის „ალების“ შემდეგ, ხალხისთვის მიცემული დაპირებების შესრულება აღარ გახსენებიათ. ნარმანიამ ერთხელ და ისიც ყასიდად შეუტია „სითი პარკს“. აგვისტოში, მერია ვქნა, გავლენიანი მფარველები მოძებნა ამ კომპანიამ და დანაპირებს ამიტომ ვერ გისრულებთო. დავით ნარმანიას აშკარად უუნარო გუნდი ჰყავს და ამის დამტკიცება არაერთი ფაქტით შემიძლია, მაგრამ ახალს არაფერს ვიტყვი, იგივეს გავიმეორებ – 5 თვე გავიდა და ჯერ თბილისს ახალი ხელისუფლების ხელი ოდნავაც კი არ დასტყობია. ისიც საკითხავია, ნარმანიას მარტო გუნდი არ უვარგა თუ არც თავად არის ის კაცი, რომელიც სიტყვას შეასრულებს? რაღაც უნათობა ამ კაცსაც ეტყობა და მალე გამოჩნდება, ივანიშვილის ხათრით არჩეული ნარმანია რის გამკეთებელია.

მართლა ძალიან საეჭვოდ გაიწელა „სითი პარკის“ საქმე. დღეს მერია იმით იმართლებს თავს, რომ „სითი პარკთან“ გიგი უგულავამ კაბალური ხელშეკრულება დადო და თუ კომპანიას მერია ეგრევე შეუწყვეტს კონტრაქტს, მერიას უზარმაზარი ჯარიმის გადახდა მოუწევსო. გააააიიიიიგეთ! ეგ უკვე გავიგეთ, რადგან მეათასედ აცხადებთ. თუ კონტრაქტი კაბალურია, ადექი და მაგ „სითი პარკში“ ფინანსური პოლიცია შეუშვი, ამ კომპანიას იმდენ კანონდარღვევას ამოუყრიან, რომ მათი ხელმძღვანელობიდან ბევრი დასაჭერიც გახდება.

რაც შეეხება იმას, რომ ვითომდა აუდიტის დასკვნას ელოდება ნარმანია, ეს აუდიტი თვეზე მეტია, შეიყვანა „სითი პარკში“ შესამოწმებლად. ამდენი ხნის განმავლობაში, აუდიტი, „სითი პარკს“ კი არა, მთელ მერიას შეამოწმებდა მისდამი დაქვემდებარებული ყველა სამსახურის ჩათვლით. ძალიან საეჭვოდ გაიწელა ეს შემოწმება. მერიის ჩინოვნიკთა და „სითი პარკს“ შორის შესაძლო კორუფციული გარიგების გადასაფარავად ხომ არ მოხდა ამ აუდიტის შეშვება კომპანიაში? დროის გაწელვის მიზნით ხომ არ შეიყვანეს აუდიტი, რათა კორუფციული სქემების კვალი წაშალონ? ხალხს აუდიტით აუხვიონ თვალი და მერე, როცა აუდიტი მუშაობას დაასრულებს და დავუშვათ, დადებით დასკვნას დადებს, კომპანიაში დარღვევებს ვერ აღმოაჩენს, ნარმანია ხელებს გაშლის – რა ვქნა, „სითი პარკს“ დოკუმენტაცია სრულ წესრიგში აქვს და მასთან კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველი არ გვაქვსო?

ეს კითხვები მერიის უმოქმედობამ გააჩინა და მათ იმედია, მალე გაეცემა პასუხი. მე უფრო იმას ვვარაუდობ, რომ აუდიტი „სითი პარკში“ რაღაც დარღვევებს კი აღმოაჩენს, კომპანიას კი დააჯარიმებს მერია, მაგრამ ეს მასთან კონტრაქტის გაუქმების საფუძველი ვერ გახდება. რაღაც ამის სუნი ისედის ამ საქმეს. სხვა და უკეთესი რომ ვიფიქრო, ამის საფუძველს მერიის ხელმძღვანელთა უგერგილობა ნამდვილად არ იძლევა. „სითი პარკსა“ და თბილისის მერიას შორის შესაძლო კორუფციულ გარიგებაზე ხალხიც ბევრს ლაპარაკობს და საამისო საფუძველი ნამდვილად აქვთ. დავით ნარმანია უკვე ველარ იტყვის, რომ მერიაში კორუფციას ადგილი არ აქვს. აგერ, ახლახან არ იყო, თბილისის 2 გამგებელი თბილისობის დღესასწაულის ტენდერების გამო კინალამ რომ მოხსნეს და მათი საკითხი დღემდე გადასაწყვეტია? ამ ტენდერების საქმეს კი სამართალდამცავები სწავლობენ. ჯერ სადა ხართ, ეგეთები მალე ძალიან ბევრი ამოვარდება. დროზე მიხედეთ ამ თბილისის მერიას, სანამ მართლა კორუფციის ბუდედ არ გადაქცეულა. გიგი უგულავასა და „სითი პარკს“ შორის კორუფციული გარიგება რომ იყო, ეს უკვე გავიგეთ, მაგრამ რატომ გამორიცხავთ, რომ იგივე კორუფციული სქემა დღესაც არ მუშაობს და გიგი უგულავას გუნდის ნაცვლად ახლა დავით ნარმანიას თანაგუნდელები არ არიან ჩართულნი? გიგი უგულავაც თავიდან კარგი ბიჭი იყო, ეგ მერე გაფუჭდა, მაგანაც მერე ისწავლა ფულის კეთება. „სითი პარკსა“ და მერიას შორის გაჭიმული ეს საეჭვო დათბობა, ეს საეჭვო ურთიერთობა და აუდიტის დაუსრულებელი მუშაობა, საფუძველიანი ეჭვის, ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ უგულავას კორუფციული სქემა მერიის სხვა მოქმედი პირების თანხლებით, ისევ მუშაობს. ნუ დამიწყებთ ახლა იმის მტკიცებას, რაც თბილისში წმინდანები იყვნენ, ყველას მერიასა და ნარმანიას გუნდში მოუყარეს თავიო.

მერიისგან გათავხედებული „სითი პარკი“ კი აგრძელებს მოსახლეობის ყველეფას და გატყავებას, უკანონო ჯარიმებით ამოხადეს სული თბილისელ ავტომფლობელებს. ბოლოს და ბოლოს, ამ კომპანიის თავგასულობას ბოლო არ უნდა მოეღოს? არ უნდა ამოსდონ ლაგამი ამ გათავხედებულებს და არ უნდა ამოჰკრან ერთი გემრიელი პანღური? სად არიან ახლა თინა ხიდაშელი, გუგული მაღრაძე, დავით საგანელიძე, ზვიად ძიძიგური და სხვები, ვინც წინასაარჩევნოდ „სითი პარკის“ თბილისიდან დაუყოვნებლივ გაძევებას ჰპირდებოდა ხალხს? სად არიან თბილისის საკრებულოს დეპუტატები, რომელთა სანუკვარი თემა წინასაარჩევნოდ „სითი პარკის“ ლანძღვა-გინება და ამით ხალხის გულისა და ხმების მოგება იყო? ამათგან მხოლოდ ალეკო ელისაშვილი, ჯაბა სამუშია და შალვა ოგბაძე დგანან ძველ პოზიციაზე და ისევ უტევენ „სითი პარკს“. იმის მერე შეიცვალა რამე? უკეთესობისკენ არაფერი – „სითი პარკი“ უფრო გაფთრებული ებრძვის თბილისელებს და ახალ-ახალი ჯარიმებით ამოხადა ხალხს სული. ამათ, საკრებულოსა და პარლამენტის დეპუტატებს ეს ჯარიმები ნაკლებად აღელვებთ, რადგან საკუთარი მაღალი ხელფასით, ყოველდღე რომ აჯარიმო, უპრობლემოდ გასწვდებიან ამ ჯარიმებს. ამ მაღალ ხელფასებს კი მათ ხალხი უხდის. რა ქნას იმ ხალხმა, ვისი ოჯახის ისედაც მწირ ბიუჯეტს „სითი პარკი“ უკანონო ჯარიმებით ძარცვავს? ეს ხალხი, როგორც ჩანს, დავით ნარმანიასაც და მის გუნდსაც უკვე ფეხებზე ჰკიდია, ხალხმა თავისი საქმე გააკეთა – ისინი ხელისუფლებაში მოიყვანა და 4 წლით ჩააბარა თბილისის მართვა.

მეტის მოთმენა უკვე შეუძლებელია. დავით ნარმანიამ ან კონკრეტულად უნდა განაცხადოს, როდის გაუშვებს თბილისიდან „სითი პარკს“ ანდა, ამ კომპანიაზე გამწარებული ათიათასობით თბილისელი მერიას მიადგება პასუხის მოსათხოვად. სხვა გზა არც არსებობს. მერიის უუნარობა, ანდა სავარაუდო კორუფციული გარიგება რომ არ იყოს „სითი პარკთან“, ეს თბილისელთა მოძულე კომპანია კარგა ხნის გაგდებული იქნებოდა თბილისიდან.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

საგზაო დეპარტამენტი მძღოლებს აფრთხილებს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, თოვლისა და ლიპყინულის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ამავე გზის კმ134-კმ135 მონაკვეთზე (დარიალის ხეობა) ავტოტრანსპორტის მიმოსვლისას იკრძალება მათი გაჩერება. აღნიშნული რეჟიმებით მოძრაობა განხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობითა და კოორდინაციით. (ნოუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

„ნაციონალებმა“ რატიფიცირება საზეიმო ტორტით აღნიშნეს

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები საზეიმო მიღებით აღნიშნავენ. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა, დავით ბაქრაძემ, პარტიის მთავარ ოფისში საზეიმო ტორტიც გაჭრა.

„ევროპული საქართველო ნიშნავს გამთლიანებულ, დაცულ ქვეყანას, სადაც თითოეული ადამიანი თავისუფალია საკუთარ არჩევანში, სადაც ყველა ოჯახში არის კეთილდღეობა და ღირსეული ცხოვრების პირობები. სწორედ ამიტომ ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები ევროპაზე და სწორედ ამიტომ ვაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ საქართველო იყოს ევროპის ნაწილი. მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვის მიერ გაწეულმა შრომამაც მოგვიყვანა დღევანდელ დღემდე. მათი დიდი ნაწილი დღეს აქ იმყოფება. ერთად გავაგრძელოთ ბრძოლა და მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველა ერთად ვიზეიმებთ ევროკავშირში განევრიანებას“. – განაცხადა ბაქრაძემ. (ნოუპოსტი)

რას აპირებენ ილიაუნის სტუდენტები თუკი, მამა თეოდორეს ლექციები არ აღსდგება

მას შემდეგ, რაც ილიას უნივერსიტეტის რექტორმა უარი უთხრა დეკანოზ თეოდორე გიგნაძეს ლექციების ციკლის წაკითხვაზე, სტუდენტებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს, რათა ამ გზით მაინც აღდგეს მამაოს ლექციები.

არის თუ არა სტუდენტებისთვის მამაოს ლექციების აკრძალვა დისკრიმინაცია? რას აპირებენ სტუდენტები მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში და რა პოზიცია აქვს სატრიარქოს?

„ალიას“ „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი, ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრა:

– თურმე ზედანიას დავალებით მიდიან ამ სტუდენტებთან უნივერსიტეტის დაცვის წარმომადგენლები და ეუბნებიან, აქ ნუ აგროვებთ ხელმოწერებს, გადით და სხვაგან მოაწერეთ ხელიო. ვერ გავიგე, სტუდენტებმა სხვაგან სად უნდა შეაგროვონ ხელმოწერა, ვაკის პარკში ხომ არ დადგებიან? საერთოდ, გიგა ზედანიას ტიპის ადამიანი რატომ უნდა იყოს რექტორად უნივერსიტეტში, ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. თუმცა კარგად ვიცით, რომ ეს ილიაუნი, ბენდუქიძის უნივერსიტეტი, ალასანიას უნივერსიტეტები არის ბუდე ასეთი ტიპის ადამიანებისა, რომლებიც თავისი ქმედებებით შეტევას ახორციელებენ ეროვნულ იდენტობაზე.

— ისე, რა გახდა, თვეში ერთხელ ამ ადამიანისთვის სტუდენტებთან ურთიერთობის ნებართვის მიცემა? ამ შემთხვევაში ხომ არავინ არავის არაფერს აძალებს?

– მეც მაგას ვამბობ. ვისაც უნდა, ის შედის ამ ლექციებზე და ასეთი სასტიკი გადაწყვეტილება, რომ თვეში ერთხელ რომ დარბაზს არ უთმობენ, ეს რას ნიშნავს? ეს არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე და ამიტომ რეაგირების ვთხოვთ აუცილებლად ეკლესიას.

— ჩემი სათქმელი თქვით, სად არის საპატრიარქო და რატომ დუმს გიგნაძის საქმის გამო?

– სავარაუდოდ, საპატრიარქო თვლის, რომ ეს არის უნივერსიტეტის გადასაწყვეტი და თავად უნივერსიტეტმა უნდა გადაწყვიტოს, ექნება თუ არა მას რელიგიურ თემატიკაზე საუბრები, მაგრამ ანგარიში უნდა გაეწიოს სტუდენტების მოთხოვნას, თუ სტუდენტები ფიქრობენ, რომ მათ უნდათ, მიიღონ ინფორმაცია რელიგიის შესახებ და ამ შემთხვევაში ხელისშემშლელია უნივერსიტეტის რექტორატი, ამ შემთხვევაში ესაა მართლმადიდებლების უფლებების შელახვა და ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიიღეს, რისთვის მიიღეს? მხოლოდ და მხოლოდ „ელვებებე“ სახოგადოებისა და სხვა კონფესიების უფლებების დასაცავად? ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ამ უნივერსიტეტში სხვა კონფესიებს უფრო მეტი უპირატესობა ეძლევა, რომ ისინი არ იჩაგრებიან.

ჩემი აზრით, საპატრიარქო აუცილებლად უნდა ჩაერთოს ამაში, რადგანაც სხვა ამბებში ინტენსიურად არის ჩართული, იგივე საყდრისის საკითხთან დაკავშირებით ყველას გვახსოვს, თავად პატრიარქმა მიმართა ხელისუფლებას და პასუხს ითხოვს. ჩაერთოს ამ საკითხშიც. ხომ ყველა ვხედავთ, რომ სავალალო მდგომარეობა გვაქვს უნივერსიტეტებში? იქ მიდის ახალგაზრდების ტვინის რეცხვა სხვადასხვა ლიბერალებისა და ფსევდოლიბერალების მიერ, რომლებიც თავისი ლექციებით საქართველოს ეკლესიის, ასევე კულტურისა და ისტორიის მიმართ გამოხატავენ უპატივცემლობას და ნეგატიურ დამოკიდებულებას და სატრიარქომ უნდა ამოიღოს ხმა, რადგანაც აქ მარტო თეოდორე გიგნაძეზე არ არის ლაპარაკი, ადამიანებს, ახალგაზრდებს უნდათ თეოლოგიურ საკითხებში განათლება.

17 მაისის მოვლენაზე ერთი ამბავი რომ ატყდა, „ტაბურეტკიანი“ მღვდლებიო, რომ ყვიროდნენ, არ არის საქართველოში ხალხი რელიგიის კუთხით განათლებულიო, ხომ ამბობდნენ? თუკი ამბობენ, რომ საქართველოში რელიგიის კუთხით არის წყვდიადი და სიბეცე, რატომ არ უნდა მისცეს ილიას უნივერსიტეტმა იმის უფლება სასულიერო პირს, რომ „გაანათოს“ ეს „წყვდიადი“? მაგრამ რელიგიის სწავლება ჩვენთან ჩაკეტილია და ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა ათასობით სტუდენტის უფლებების შელახვა და ეს ადამიანები უნდა დაიცვას ეკლესიამ, რადგანაც ეს ბავშვები მისი სულიერი შვილები არიან და ისინი ითხოვენ დეკანოზის მოსმენას. საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში კი ეწყობა შეხვედრები და ლექციები იქაც ტარდება, მაგრამ ეს საკმარისი არაა.

— რაც შეეხება სახალხო დამცველის პოზიციას?

– ჩვენ, სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით მივმართეთ უშა ნანუაშვილს წერილით, გვინდოდა, მას თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა, გვიპასუხა, ჯერ საკითხს ვსწავლობო? სხვა დროს, იგივე მეჩეთის ამბავი რომ იყო, იმწამსვე გამოვიდა უშა ნანუაშვილი და სასწრაფოდ შეაფასა სიტუაცია, არ შეიძლება ამათი უფლებების შეზღუდვაო. რა, უფლებების შელახვა ამ შემთხვევაში არ ხდება? ინფორმაციის მიღების უფლება ადამიანს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული და მართლმადიდებლურ ქვეყანაში, სადაც სამი მილიონი მართლმადიდებელია, რა ხდება? გია ნოდიას იწვევენ ყოველ წამს უნივერსიტეტში, სადაც გამოდის და ამბობს, სამოქალაქო საზოგადოება ქალაქში გამიგია და სოფელში რა უნდაო და ამდაგვარ საუბრებში ამ ადამიანს უნივერსიტეტები ფულს რომ უხდიან, გიგნაძე ამ საუბრებში არავითარ თანხას არ ითხოვდა. ანდა, სად არიან „ვენებგადაჭრილი“ არასამთავრობოები, რომლებიც ისეთი ადამიანების უფლებებს იცავენ, ვისი მიმართაც აუარებელი კითხვა არსებობს. ხმა ამოულია ვინმეს? მე მაქვს ინფორმაცია, რომ სტუდენტები არ გაჩერდებიან, არც ჩვენ ვაპირებთ გაჩერებას და დარწმუნებული ვარ, ზედანია, პრინციპში, გადაყვება ამ ამბავს.

მის შემდეგ ვუკავშირდებით ილიას უნივერსიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენელს თორნიკე ჩიტოვანს.

— თუ არ დაკმაყოფილდა თქვენი, სტუდენტების, მოთხოვნა, რას აპირებთ?

– 3200 სტუდენტის ხელმოწერა შევაგროვეთ და მოხდა ასეთი რამ: სტუდენტები შენობაში აგროვებდნენ ამ ხელმოწერებს და აღარ შეუშვეს სასწავლებლის ტერიტორიაზე, რომ შიგნით შეეგროვებინათ. ანუ, ეტყობა, რომ ნახეს, რომ ბევრი სტუდენტი აწერდა ხელს... თუ არ დაკმაყოფილდა უნივერსიტეტის სტუდენტების მოთხოვნა, პროტესტი იქნება. სტუდენტებს უნდათ დეკანოზის ლექციის მოსმენა და 3200 სტუდენტი ცოტა ნამდვილად არ არის.

რაც შეეხება საპატრიარქოს პოზიციას, საპატრიარქოს მდივანს მამა მიქაელ ბოტკოველს ვკითხეთ:

– მამა მიქაელ, იცით ილიაუნში სტუდენტების მოთხოვნის შესახებ, რომლებიც დეკანოზ თეოდორე გიგნაძის ლექციების ჩატარების მიზნით ხელმოწერებს აგროვებენ?

– რა დროს ილიაუნია?..

თამარ ოქრუაშვილი

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

როგორ აფასებს არასაპარლამენტო ოპოზიცია ასოცირების შეთანხმებას

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ბაჩუკი ქარდავას განცხადებით, ევროპარლამენტის მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება არის სიგნალი ევროპის ქვეყნების პარლამენტებისთვის, რომ საქართველოს არჩევანი არის შეუქცევადი.

„მნიშვნელოვანი დეტალი, რაც იყო ამ რეზოლუციაში, ეს არის რუსეთის ქმედების დაგმობა აფხაზეთთან მიმართებაში, აქ არ არის საუბარი, როგორ იქცეოდა რუსეთი წარსულში საქართველოსთან, არამედ საუბარია განახლებულ აგრესიაზე და რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ფაქტობრივ ანექსიაზე, დღეს როდესაც უკრაინის ფონზე ევროპარლამენტი კიდევ ერთხელ ამახვილებს საქართველოს საკითხზე ყურადღებას, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ამ რეზოლუციით, ევროპარლამენტმა საქართველოს ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მისცა გამაფრთხილებელი სიგნალი, რომ საქართველოს ევროპული არჩევანი პირდაპირ კავშირშია ქვეყნის საშინაო პოლიტიკასა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასთან. ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ძალისმიერ სტრუქტურებს და კერძოდ პროკურატურას პოლიტიკური დევნის იარაღად იყენებს, არის შემაფერხებელი ფაქტორი საქართველოს დასავლური მისწრაფებებისთვის, რაც მკაფიოდ ჩანს ამ რეზოლუციაში“, – განაცხადა ქარდავამ.

ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ასეთ რეზოლუციებს ანგარიში უნდა გაუწიოს.

„აუცილებლად ანგარიში უნდა გავუწიოთ ასეთ რეზოლუციებს, იმიტომ რომ ეს რეზოლუციები არის რეკომენდაციები, როგორ უნდა ავიმოქმედოთ, რომ გავხდეთ დემოკრატიული სახელმწიფო, პრობლემები რომ გვაქვს დემოკრატიასთან დაკავშირებით, ამას ჯანსაღად უნდა ვაფასებდეთ და ყველაფერს ვაკეთებდეთ იმისთვის, რომ ეს პრობლემები აღარ იყოს“. – განაცხადა ნაჭყებიამ

საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, თავისუფალმა დემოკრატმა“ მაია ფანჯიკიძემ კი აღნიშნა:

„როგორი მწვავეც არ უნდა იყოს რეზოლუცია, საქართველომ უნდა მიიღოს ყურადღებით და ხელისუფლებამ გამოასწოროს ის ხარვეზები, რაც იქ იქნება აღნიშნული, მთავარი არის ის, რომ ეკონომიკას მიეცეს ბიძგი, ხალხმა გაბედოს ბიზნესის დაწყება, აწარმოოს პროდუქტი და მის გატანაზე იზრუნოს, მისცეს მას ისეთი სახე, რომ ის იყოს კონკურენტუნარიანი ევროპულ ბაზარზე, ასე შეგვიძლია ევროპის ბაზარზე გასვლა, აი, ეს არის მთავარი ამ ხელშეკრულებაში“. – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ფოტოსტატი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

„როდის შეაჩერებთ რუსულ სადამსჯელო ოპერაციას დონბასში?“



უკრაინელმა ჟურნალისტმა რომან ციმბალუკმა რუსეთის პრეზიდენტს ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე შეკითხვა უკრაინასთან დაკავშირებით დაუსვა:

„როდის შეაჩერებთ რუსულ სადამსჯელო ოპერაციას დონბასში, რამდენი რუსი ჯარისკაცი მოკვდა დონბასში? რაზეც რუსეთის პრეზიდენტმა უპასუხა, რომ დონბასში სადამსჯელო ოპერაციას არა ის, არამედ უკრაინის ხელისუფლება ატარებს, რუსეთი კი მშვიდ არის, შუამავლის როლი იკისრის. პუტინის თქმით, უკრაინაში არა რუსი ჯარისკაცები, არამედ მოხალისეები არიან. (ფოტოსტატი)

„რუსეთი არ შეიძლება მსოფლიო ფინანსური სისტემის წეკრად დარჩეს“

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, რომელიც დასავლელ ლიდერებს შორის რუსეთის მიმართ მკაცრი პოზიციით გამოირჩევა, რუსეთზე ზეწოლის გაძლიერებაზე და ახალი სანქციების შემოღებაზე ისაუბრა.

„ქვეყანაში არსებული სიტუაცია (რუბლის მკვეთრი გაუფასურება) გამოწვეულია ნავთობის ფასისა და სანქციების კომბინირებული ეფექტით. ეს აღარ აძლევს საშუალებას რუსეთს, იყოს მსოფლიო ფინანსური სისტემის წევრი, ჩვენ მოვითხოვთ ზეწოლის გაძლიერებას“. – განაცხადა კემერონმა. (ფოტოსტატი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK

ეკა კვალიაშვილს ჯანმრთელობა გაურთულდა — „ბავშვის ეტლზე დაყრდნობილი, ხრიალით მივედი...“

ეკა კვალიაშვილის ავადმყოფობასთან დაკავშირებით ბევრჯერ დაიწერა. მომღერალი გულდაწყვეტილია, რომ მის ავადმყოფობას ბევრი არ იჯერებს და აფიორაში ადანაშაულებს. ალბათ, ამის გამოა, რომ მომღერალმა თავისი ამბები ბევრჯერ დეტალურად აღწერა სოციალური ქსელის დახმარებით.

სამწუხაროდ, მომღერალს ბარბაროზის დღესასწაულზეც შეექნა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

– დღეს, მართლა, პირველად შემეშინდა, ლუკა (შვილიშვილი) გავიყვანე, თან მინდოდა, აფთიაქში შევსულიყავი და ამიტომ, სახლის ტერიტორია დავტოვე და ქუჩაში გავედი. ნახევარი გზა გავიარე, და უცებ დამეწყო საშინელი შეტევა, ვიხრჩობოდი, ნაბიჯს ვერ ვდგამდი. ოდნავ ენერგიის დახარჯვა და შეტევა მიძლიერდებოდა. არა, სიკვდილის არ შემშინებია, მერწმუნეთ, უბრალოდ, ბავშვთან ერთად ვიყავი. ქუჩაში, სადაც არც ერთ ადამიანს არ უკითხავს, ხომ არ დაგეხმაროთო. შემეშინდა, რომ არ დავვარდნილიყავი და სული არ დამელია, ჩემი პატარა შვილიშვილი არ დამეტოვებინა, ასე უპატრონოდ, უცხო ადამიანებში. ბავშვის ეტლზე დაყრდნობილი, ხრიალით, მივედი იქვე. ჩემს ბედად, პატრული იყო გაჩერებული, და დახმარება ვთხოვე, მათ მიპატრონეს, გაახაროთ ღმერთმა, სახელიც ვერ ვკითხე, ჩამსვეს ტაქსში ბავშვსაც მიმიხედეს და გამომიშვეს სახლში, მეუბნებოდნენ, სასწრაფოს გამოვუძახებთო, მე უარი ვთქვი, ამის მერე გავიდა საკმაოდ ბევრი საათი. და ახლა დამიმშვიდდა შეტევა, სუნთქვა აღმიდგა, მაგრამ საშინლად მტკივა თავი...

ბარბაროზის დღის მადლმა არ გამწირა, დარწმუნებული ვარ. ადამიანებო, თუ დაინახავთ ქუჩაში ვინმეს უჭირს, ცუდადაა, ჰკითხეთ, დახმარება ხომ არ სჭირდება. იქნებ თქვენზეა დამოკიდებული ამ ადამიანის სიცოცხლე იმ კონკრეტულ წუთს. სულ ეს იყო, მადლობა ღმერთს, გადავრჩი. საშინლად მტკივა თავი... – წერს ეკა „ფეისბუკზე“.

reitingi.ge

პრეზიდენტის მეამბოხე ქალიშვილი ცოლად დედინაცვლის მოგვარეს გაჰყვა — „მართლა მამიდა რომ იყოს, გაგიტყდება“

ანა მარგველაშვილის გათხოვების ამბავს თავიდან ბევრი არ იჯერებდა. რატომღაც ეგონათ, რომ პრეზიდენტის მეამბოხე ქალიშვილი ხუმრობდა ან მეგობრებთან ერთად უბრალოდ გაერთო. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ანა და გიგი ჩიჩუა მართლაც დაქორწინდნენ. გიგის ძმას, მუსიკოს ლევან ჩიჩუას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

ლევან ჩიჩუა:

– კი, ნამდვილად დაქორწინდნენ. არ ვიცოდი, როდის და რას აპირებდნენ, მაგრამ სერიოზული ურთიერთობა ჰქონდათ და ვიცოდი, რომ ყველაფერი ამით დამთავრდებოდა...

მაკა არის გიგას მამიდა და გიგამ ნათესავი მოიყვანა ცოლად, ნწ, ნწ, ეს რა მომხდარა. ვერ ვხვდები ხალხი ასეთ რამეს როგორ უნდა წერდეს. როგორ უნდა იყვნენ ნათესავები გიგი და ანა, საინტერესოა. აბსურდია ეს ჭორები. მაკა ანას დედინაცვალია და რა პრობლემაა, ამაში ვერ ვხვდები.

მართლა მამიდა რომ იყოს, გაგიტყდება. მხოლოდ მოგვარეები ვართ და სხვა არაფერი.

reitingi.ge

გია ჯაჯანიძე — „მე ეს დეფექტი მაქვს“

„სხვა რაკურსით გია ჯაჯანიძესთან ერთად“ – ასე ჰქვია გადაცემას, რომელიც „იმედზე“ შოუმენ გია ჯაჯანიძეს მიჰყავს. შოუს პროდიუსერები მაია სტეფნაძე და მანონი ოქრუაშვილი არიან.

გია ჯაჯანიძე:

– ორივე გამოცდილი პროდიუსერია. ამიტომ მე მათ ბრმად მივენდე და ყველაფერში მივყვები. ბოლო დროს მომწონს სტალინის მეთოდი. შედიხარ ადამიანთან ურთიერთობაში და ყველაფრის ნებას აძლევ, ბოლომდე მიყვები. ამით მის ხასიათს იგებ. მე ცოტათი ურჩი ვარ. ცოტას ვზარმაცობ, მაია ამას ვერ იტანს. ის ემოციურია, მე ძალიან მშვიდი ვარ. მას უკვირს, როგორ არ ნერვიულობო? ვნერვიულობ, მაგრამ ასეთი გამოხატულება არ მაქვს. ეტყობა, ჩემი სიმშვიდე ასაკის ბრალია. ეტყობა, ვბრძენდები. ხომ არიან დეფექტიანი ადამიანები, ზოგი კოჭლია. მე ეს დეფექტი მაქვს. ვერ ვღელავ.

primetimenews.ge

„დორტმუნდის „ბორუსიას“ ფეხბურთელი ერთი ღამის სანაცვლოდ 200 000 დოლარს მთავაზობდა“

ქართველმა ცნობილმა მსახიობმა, შორენა ბეგაშვილმა საინტერესო განცხადება გააკეთა.

მან გაიხსენა 2011 წელი, როდესაც სომხეთის ნაკრები საქართველოს დაუპირისპირდა და ჯვაროსნებმა 1-2 მოიგეს.

მან დორტმუნდის „ბორუსიას“ ამჟამინდელი ფეხბურთელი, ჰენრიკ მხითარიანი გაიხსენა. მაშინ სომეხი შემტევი დონეცკის „შახტარის“ ღირსებას იცავდა.

– აი, გერმანიაში მოთამაშე სომეხი როა, ჰენრიკ მხითარიანი, ეგ იყო თბილისში 2011 წელს, ხოდა მაშინ მომიწია მასთან შეხვედრა. მან თვალი ამავლო-ჩამავლო, ჩამათვალიერა და მომიახლოვდა. რუსულად მითხრა, ჩემთან ერთი ღამე გაატარე, გავერთოთო და 200,000 დოლარს მოგცემო. გიჟი კი არ ვიყავი გავქცეულიყავი და მისთვის „მიმეცა“. ცივი უარით გავისტუმრე. გადაწყვეტილებას არ ვნანობ...

daijesti.pia.ge

ვინ არის მერსი სულხანიშვილის მეორე ნახევარი?

თბილისში ხმები გავრცელდა, მერსი სულხანიშვილი შეყვარებულიაო. ამას ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ფოტოც დაემატა, სადაც მერსი ბიჭთან ერთად საკმაოდ თამამად პოზირებს. როგორც გაირკვა, ეს საბა ვაჩიბერიძეა და როგორც ამბობენ, საბასა და მერსის დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებთ.

საბა ვაჩიბერიძე პროექტ „სპიკერის“ მონაწილე იყო, ახლა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტში ღონისძიებებისა და სოციალური მედიის მენეჯერია. როგორც ხდება ხოლმე, წყვილი გავრცელებულ ხმებს უარყოფს.

საბა ვაჩიბერიძე: „ეს ძველი ფოტოა. ერთ-ერთმა ფოტოსტუდიამ გადაგვიღო და მეტი არაფერი. საკმაოდ თამამი ფოტოები იყო, მაგრამ უბრალოდ ვმეგობრობთ. ჩვენ შორის პირადული ჯერჯერობით არაფერია. ამ თემასთან დაკავშირებით მეტ კომენტარს არ გავაკეთებ. ცოტა დახურული მაქვს ჩემი პირადი სამყარო“.

მერსი სულხანიშვილი: „საქართველოში ყველაფერს თამამს უწოდებენ. საბა ჩემი მეგობარია. უბრალოდ, რამდენიმე ფოტო ერთად გადავითეთ და მეტი არაფერი“.

primetimenews.ge

ვახო სანაია მმარხველებს: „ბუფეტში რომ შეხვალთ, ნუ გაჰკივით: სამარხვო ნამცხვარი გაქვთ?“

ჟურნალისტი სოციალურ ქსელში სახარების იმ ნაწილს იზიარებს, რომელიც მოჩვენებით მმარხველებს ეხება.

– რა ვიცი, ის ასე ამბობდა... ანუ დაიბანეთო და ბუფეტში რომ შეხვალთ, ნუ გაჰკივით: სამარხვო ნამცხვარი გაქვთ? კიდევ თქვა, ნუ განიკითხავთო, მაგრამ მე მაინც ვერ მოვითმინე და დავწერე. იმედია, მკაცრად არ მომთხოვს მისი სიტყვების ციტირებისთვის: „რაჟამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფით, ვითარცა-იგი ორგულნი, მწუხარე, რამეთუ განირყუნნიან პირნი მათნი, რაითა ეჩუენნენ კაცთა მმარხველად. ამენ გეტყვი თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი. ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რაითა არა ეჩუენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად; და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ“, – წერს სანაია.

daijesti.pia.ge

ვის უცეკვა სტრიპტიზი ნუკი კოშკელიშვილმა?

მსახიობმა გიორგი გაგლოევმა სოციალურ ქსელში გაავრცელა ფოტოები, სადაც ნუკი კოშკელიშვილი სტრიპტიზს ცეკვავს.

გიორგი აღნიშნავს, რომ ეს ნუკის წაგებული ჰქონდა ერთ-ერთ გადაცემაში.

mediamall.ge

წლის სექსუალურ ქალად კესარია აბრამიძე დასახელდა?

სოციალურ ქსელში შექმნილი გვერდი „ცნობილი ქართველები“ ტრანსგენდერ კესარია აბრამიძის ფოტოს ასაჯაროებს.

სურათი ასე სათაურდება: „წლის სექსუალური „ქალი“ კესარია“.

daijesti.pia.ge

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რუსეთში ექიმმა „დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის“ დიაგნოზით კლინიკიდან... გვამი გაწერა

მხოლოდ პროფესიონალიზმი ნამდვილად არ არის გადამწყვეტი ფაქტორი, რადგან პირველ რიგში, ადამიანი უნამუსო და მამაძაღლი არ უნდა იყოს! ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე ვფიქრობთ და სხვისი არ ვიცით.

როგორც ირკვევა, მორდოვიის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმმა პაციენტი „დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის“ დიაგნოზით გაწერა, არადა, ის საცოდავი უკვე მინიმუმ 24 საათის გარდაცვლილი ყოფილა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ საავადმყოფოს პაციენტმა მუცლის არეში გაჩენილი მწვავე ტკივილების ჩივილით მიმართა. სამწუხაროდ, ქირურგმა, გვარად ვედიაშკინმა, მისი კვალიფიციური გამოკვლევებით უზრუნველყოფა ვერ შეძლო, არადა, საამისოდ ყველანაირი საშუალება ჰქონდა. ხუთი დღის შემდეგ, მკურნალმა ექიმმა პაციენტს არასწორი დიაგნოზი დაუსვა და სტაციონარიდან მისი გაწერის გადაწყვეტილებაც მიიღო.

აღმოჩნდა, რომ პაციენტი მუცლის დახურული ტრავმის შედეგად გარდაიცვალა, რასაც შარდის ბუშტის გახეთქვა და პერიტონიტის გაჩენა მოჰყვა. იმის მიუხედავად, რომ პაციენტი უკვე გარდაცვლილი იყო, ექიმმა ყველა სამედიცინო დოკუმენტი შეავსო და ის კლინიკიდან გაწერა.

მოკლედ, უნამუსო და მამაძაღლმა ექიმმა საშინელი დანაშაული ჩაიდინა და მას, სავარაუდოდ, საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნება.

vesti.ru

ძველ რომში გლადიატორების ოფლი სახის კოსმეტიკურ საშუალებად გამოიყენებოდა

უმრავლესობისთვის, ალბათ, ძველი რომი ბევრ რამესთან ასოცირდება: კოლოსეუმთან, გლადიატორებთან, ყოველისშემძლე იმპერატორებთან და ასე შემდეგ. რაც შეეხება ძველრომაულ კოსმეტიკას, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის იდუმალებით მოცული.

როგორც მეცნიერები განმარტავენ, ძველი რომაელი ქალები თავიანთი გამომგონებლური ბუნებით გამოირჩეოდნენ, მით უმეტეს, როცა საქმე

კოსმეტიკურ პროცედურებს ეხებოდა.

გლადიატორების ოფლი და ცხოველების ცხიმები, რომლებიც ერთმანეთს არენაზე ერკინებოდნენ, ბრძოლის ველის ფარგლებს გარეთ სუვენირის სახით იყიდებოდა.

მიიჩნეოდა, რომ თანამედროვე ქალებისთვის ყოველად მოუღებელი სითხე შესანიშნავი საშუალება იყო სახის კანის ფერის გაუმჯობესებისთვის.

სხვა, ნაკლებად ეგზოტიკური კოსმეტიკა ჩვეულებრივ, ფხვნილის სახით იყიდებოდა. მხოლოდ მდიდარ ქალებს ჰქონდათ იმის ფუფუნება, პომადა ან თვალის ჩრდილები შეეძინათ. ერთი ეგ არის, ძირითადად, მაკიაჟს მეძავები იკეთებდნენ და ეს ერთდროულად ამორალურადაც მიიჩნეოდა და მომხიბვლელადაც...

factroom.ru

სექსუალური თავშეკავებულობა ქალებს აჭკვიანებს, კაცებს კი...

ძლიერ სქესზე არცთუ სახარბიელო გავლენა ჰქონია სექსუალურ თავშეკავებულობას, თუმცა დიდად სანერვიულო ვფიქრობთ, ამაში არც არაფერია.

ებრაელმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ პარტნიორის სწორად შერჩევა საკმაოდ დიდ კავშირშია იმასთან, რამდენ ხანს არ ჰქონია ადამიანს სექსი.

კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ ინტიმური ურთიერთობების არქონის შემდეგ, ქალები ბევრად უკეთ ახერხებენ პარტნიორის შერჩევას. რაც შეეხებათ მამაკაცებს, მათ შემთხვევაში შედეგი რადიკალურად განსხვავებულია. ანუ რაც უფრო დიდხანს იკავებენ ისინი თავს სექსისგან, ბევრად მაღალია ალბათობა, რომ პარტნიორის შერჩევაში დიდ შეცდომას დაუშვებენ.

ამ ყველაფერს სპეციალისტები შემდეგნაირად ხსნიან: ქალებსა და კაცებს ერთმანეთისგან განსხვავებული ბიოლოგიური პროგრამები აქვთ. კერძოდ, ძლიერი სქესი ქვეცნობიერად ცდილობს, რაც შეძლება ბევრი ქალი გაანაყოფიეროს, მიუხედავად ხარისხისა. მშვენიერი სქესი კი ცდილობს, ჯანმრთელი და იდეალური მამაკაცი მოძებნოს.

pronowosti.ru

ამერიკელების ყარაუდოთ, ლენინი ტყინის იშვიათი გენეტიკური დაავადებისგან გარდაიცვალა



ასე ამბობდა, თურმე: „პარტიაში მხოლოდ სამი ჭეშმარიტი კომუნისტია: ულიანოვი, ლენინი და მე...“ ჰოდა, ძალლიც მიაკვდა სულმოი, უნებურად წამოსცდება ძალიან ბევრ ადამიანს, ვინც მის შესახებ გაიგებს რამეს. „დავი“!..

მიიჩნევა, რომ 53 წლის ასაკში ვლადიმერ ილიჩი ინსულტისგან გარდაიცვალა. ბელადის სიკვდილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, გაჩნდა უამრავი თეორია და ფაქტია, ბევრზე მუშაობა დღემდე არ დასრულებულა. ამჯერად კითხვებზე პასუხის გაცემას კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტები შეეცადნენ.

ლენინი 1924 წელს „გავიდა გალმა“ და ამ დრომდე სამი ინსულტი გადაიტანა. მდგომარეობის ასეთი გაუარესება ჩვეულებრივ, ბევრად ასაკიან ადამიანებს ახასიათებთ. ამის გამო, ისტორიკოსები დიდხანს საუბრობდნენ სხვა ფაქტორებზე, მაგალითად, მოწამვლასა და სიფილისზე. რაც შეეხება ახალ თეორიას, ის გვამცნობს, რომ ლენინს იშვიათი გენეტიკური დაავადება – კალიცინოზა ჰქონდა, რასაც მის ტვინში მყარი სიმსივნის განვითარება მოჰყვა.

გაკვეთის შედეგად დადგინდა, რომ ლენინის თავის ტვინის სისხლძარღვები ძალიან იყო გამაგრებული. ეს დაავადება ცნობილია, როგორც ათეროსკლეროზი და ის ძალიან ბევრ მოხუც ადამიანს აქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, ილიჩს ის უსწრაფესი ტემპებით უტევდა. გარდა ამისა, ისიც ცნობილია, რომ ლობოტომიის დროს ქირურგი ილიჩის ტვინში ძარღვებს სკალპელით შეეხო, რის შედეგადაც, ისეთი ხმა გაისმა, როგორც რკინასთან ან ქვასთან შეხებას მოსდევს ხოლმე.

კალიფორნიის უნივერსიტეტის ნევროლოგების ჯგუფი ჰარი ვინტერის ხელმძღვანელობით, მიიჩნევს, რომ ლენინი თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევის შედეგად გარდაიცვალა. ასეთი დასკვნა მათ მას შემდეგ გამოიტანეს, რაც კონკრეტული გენის მუტაციას მიაგნეს, რასაც ფეხებში სისხლძარღვების სელექტიური ათეროსკლეროზი მოჰყვება.

ვინტერსი და მისი კოლეგები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ლენინს ანალოგიური გენეტიკური პრობლემები ჰქონოდა, ოღონდაც, მის შემთხვევაში, დაავადებამ გავლენა პირველ რიგში, თავის ტვინზე მოახდინა. ამერიკელი მეცნიერები არც იმას გამორიცხავენ, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ბელადის ოჯახის წევრებსაც ჰქონდათ. მით უმეტეს, რომ მამამისიც თითქმის იმავე ასაკში გარდაიცვალა, თანაც მსგავსი სიმპტომებით.

თურმე, ლენინის „დაკრძალვის“ ცერემონიაში ბავშვები მონაწილეობას არ იღებდნენ, რადგან ძალიან ციოდა და ბელადს ეშინოდა, პატარები არ გაციებულიყვნენ... მოგეხსენებათ, უყვარდა ბავშვები ძალიან...

topsy.com

ჰიტლერს ევროპაში 6-ჯერ მეტი საკონცენტრაციო ბანაკი აუგია, ვიდრე აქამდე იყო ცნობილი

– 1933-დან 1945 წლებში მთელი ევროპის მასშტაბით 42 ათას 500 ნაცისტური გეტო და ბანაკი იყო გახსნილი, – ასეთი დასკვნა გამოიტანეს სულ ცოტა ხნის წინ ისტორიკოსებმა ჯეფრი მეგარჯიმ და მარტინ დინმა, რამაც ჰოლოკოსტის მკვლევარები შოკში ჩააგდო.

ცნობილია, რომ საკითხის შესწავლას ისტორიკოსებმა 13 წელი მოანდომეს და შედეგად მართლაც შემზარავი დასკვნა დადეს.

ბანაკებს შორის შედიოდა არა მხოლოდ „მასობრივი მკვლელობების ცენტრები“, არამედ ათასობით შრომით-გამოსასწორებელი ბანაკები, სამხედრო ტყვეთა ბანაკები, ბორდელები და ე.წ. „ზრუნვის ცენტრები“, სადაც ფეხმძიმე ქალები იძულებულები იყვნენ, აბორტები გაეკეთებინათ, ან სადაც ბავშვებს დაბადებისთანავე ხოცავდნენ.

საერთო ჯამში, მკვლევარებმა დაითვალეს 30 ათასი ბანაკი, სადაც გამოიყენებოდა მონური შრომა, 1150 ებრაელთა გეტო, 980 საკონცენტრაციო ბანაკი, სამხედრო ტყვეების 1000 ციხე, 500 საროსკიპო, რომლებიც გადავსებული იყო სექსმონებით, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთან სექსის გამო, „არიელებს“ სასიკვდილო განაჩენი ელოდათ. ათასობით სხვა ბანაკი გამოიყენებოდა მოხუცებისა და უპოვართა დასახოცად, აბორტების გასაკეთებლად, პატიმართა „გერმანიზაციისთვის“ ან გაზის კამერებიდან მიცვალებულთა გვამების ტრანსპორტირებისთვის.

factroom.ru

»» მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

– რა გჭირს, ბიჭო, რატომ ხარ ასეთი დამწუხრებული?

– რა ვიცი... გუშინ შეყვარებულთან ერთად პარკში ვსეირნობდი და მანიაკი არ გამოგვეკიდა?

– სექსუალური?

– ბისექსუალური!!!

*****

მაღაზიაში:

– ეს ყველი თქვენთან ვიყიდე გუშინ...

– მერე რაშია საქმე?

– ასე მითხარით, შვეიცარიულიაო.

– ჰო, ეგრეა.

– მერე, შე კაი კაცო, იმპორტირებულია თუ დეპორტირებული?!

*****

– გამარჯობათ!

– გაგიმარჯოს, ექიმო!

– აბა, დავიწყოთ – ეწევით?

– ისე, რა...

– ისე, რა? ეგ რას ნიშნავს?

– ნუ, პასიური მწეველი ვარ – სხვები ეწევიან, მე კი ვსუნთქავ...

– აჰა, გასაგებია. კარგი, გავაგრძელოთ – სექსით კავდებით ხოლმე?

– ისე, რა...

*****

– თუკი დავუჯერებთ სტატისტიკას – სტატისტიკის დაჯერება არ შეიძლება!..

*****

– გოგონი, თუ ნებას დამრთავთ, თქვენი ასლის გადამღები აპარატით ვისარგებლებ...

– და რისი ასლი გნებავთ?

– დეენმის!..

*****

– ძალიან მოხერხებულმა ღორმა მგელი აიძულა, ისლამი მიეღო!..

*****

გასახდელში ტანსაცმელს ორი ქალი იცვლის. ერთს უზარმაზარი ტრუსები აცვია.

– ეს რა არის, როდიდან დაიწყე მამაკაცების ტრუსების ჩაცმა?

– მას შემდეგ, რაც ქმარმა ის ჩემს მანქანაში იპოვა...

მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით აბობაძის ნახატები



ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გარდაცვლილის სახელის ხსენება ბევრ ერში სასტიკად აკრძალება

სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო, კი ამბობენ, მაგრამ ზოგს იმდენად უცნაური ქუდი აქვს, ძალიან რთული იქნება მასში თავის შეყოფა. აბა, წარმოიდგინეთ, წასულების სადღეგრძელოს დროს ქართველს თავისი წინაპრებისა თუ ოჯახის წევრების სახელების ხსენებას რომ აუკრძალავენ...

აკრძალვა გარდაცვლილთა სახელების ხსენებაზე იქიდან გამომდინარეობს, რომ ბევრს სჯერა, ამით შესაძლოა, კონკრეტული ადამიანის სული ან მოწვენება საიქიოდან სააქაოში გადმოვიდეს. ნამდვილი სახელის ხსენების ნაცვლად, ჩვეულებრივ, ნეიტრალურ მახასიათებელს ან რაიმე სხვა სახელს იგონებენ ხოლმე.

მაგალითად, სამხრეთ ამერიკელი ინდიელების, გუაჰიროს ტომის წარმომადგენელს, ვინც გარდაცვლილის სახელს ახსენებდა, სასიკვდილო განაჩენი არ ასცდებოდა. ავსტრალიელი აბორიგენების ზოგიერთ ტომშიც ეს ტაბუ იმდენად ძლიერია, რომ გარდაცვლილის სეხნიები იძულებულები არიან, სახელი შეიცვალონ.

საინტერესოა, რომ აბორიგენთა ტრადიციების პატივსაცემად, ბევრ ავსტრალიურ ფილმსა თუ გადაცემაში იყენებენ აკრძალვას იმის შესახებ, რომ მაყურებელმა შესაძლოა, ნახოს გარდაცვლილი ადამიანის გამოსახულება ან მისი ხმა გაიგონოს.

factroom.ru

მათემატიკოსმა აბრაამ დე მუავრიმ საკუთარი გარდაცვალების ზუსტი თარიღი გამოთვალა

ფაქტია, მათემატიკოსები მხოლოდ ურთულეს განტოლებებს არ ხსნიან და არანაკლებ რთულ ფორმულებს არ იგონებენ. მათ საკუთარი გარდაცვალების თარიღის გამოცნობაც შეძლებიათ.

ყოველ შემთხვევაში, დღემდე სევდიან აღფრთოვანებას იწვევს ფრანგი მათემატიკოსის, აბრაამ დე მუავრის გამოთვლა, რომელმაც სწორედ საკუთარი გარდაცვალების ზუსტი თარიღი დაადგინა.

დე მუავრი მე-18 საუკუნეში ცხოვრობდა და ნიუტონის ახლო მეგობარი იყო. ის ცნობილია თავისი სამუშაოებით ალბათობის თეორიის სფეროში, ასევე, მუავრის ფორმულის გამოყვანაში.

მუავრი 87 ასაკში გარდაიცვალა. სიკვდილამდე გარკვეული პერიოდით ადრე მან შეამჩნია, რომ უფრო და უფრო სუსტდებოდა და რომ ძილისთვის სულ უფრო მეტი დრო სჭირდებოდა. მათემატიკოსმა დაიანგარიშა, რომ დღე-ღამეში მისი ძილის დრო საშუალოდ 15 წუთით იზრდებოდა. ჰოდა, დაასკვნა, რომ მაშინ მოკვდებოდა, როცა ამ დამატებითი წუთების რაოდენობა 24 საათს გაუტოლდებოდა. შედეგად, მათემატიკოსმა სიკვდილის ზუსტი თარიღი დაასახელა: 1754 წლის 27 ნოემბერი და მართლაც, ის სწორედ ამ დღეს გარდაიცვალა.

tainamira.ru

დრაკონის კუდი — ტბა თურქეთში, რომელსაც მხოლოდ უბედურება მოაქვს

დრაკონის ტბასთან დაკავშირებული ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ოდესღაც მის სიახლოვეს სოფელი არსებობდა, სადაც ახალგაზრდა მწყემსი, სახელად ბოლჰონი ცხოვრობდა. ის ხშირად აძოვებდა ცხვრებს შორეულ მინდვრებზე და ერთ დღესაც გზაში ეშმაკი შემოხვდა, რომელმაც მწყემსს მის მსახურად დადგომა უბრძანა. გაბედულმა ბოლჰონმა ჯოჯოხეთის მბრძანებელს უარი უთხრა, შედეგად კი ის მიიღო, რომ ლუციფერმა ცხვრებს საშინელი სენი შეჰყარა, მწყემსის მოკვლა კი მწვანე ქერცლიან დრაკონს უბრძანა.

მწყემს ბოლჰონს სხვა გზა არ ჰქონდა, ის დრაკონს შეება, სულ მალე თვალიც ამოუგდო, თუმცა ბრძოლის ველზე თავადაც დაეცა.

– დაჭრილი დრაკონი უძირო ტბაში ჩავიდა, სადაც ის დღემდე ბინადრობს, – ახლაც სჯერათ თურქეთის პროვინცია ბინგელის მკვიდრებს და წყალსაცავს შეძლებისდაგვარად ერიდებიან.

საინტერესოა, რომ ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არც ერთი დასახლება არ არსებობს, ოფიციალური მონაცემებით კი ბოლო წლების განმავლობაში იქ დაახლოებით 300 ცხვარი და 13 მწყემსია დაკარგული...

inworld.ru

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

ჰოროსკოპი

ვერძი 21.03-21.04

19 დეკემბერი: შეეცადეთ, ეს დღე მეგობრებს მიუძღვნათ. შეიძლება რომელიმე მათგანს თქვენი დახმარება სჭირდება, მაგრამ თქმა ერიდება.

ხარი 22.04-21.05

19 დეკემბერი: თქვენს ვალდებულებებს ძალიან სერიოზულად უდგებით. რა თქმა უნდა, რაც ხდება, იმაზე გარკვეული პასუხისმგებლობა გეკისრებათ, მაგრამ ყველაფერი გულთან არ უნდა მიიტანოთ.

ტყუპები 22.05-21.06

19 დეკემბერი: ფული არ დაინახოთ და თავი რაიმე საჩუქრით გაიხარეთ. ფინანსური თვალსაზრისით უკეთესობაა მოსალოდნელი.

კირჩხიბი 22.06-22.07

19 დეკემბერი: შეიძლება მოულოდნელ მოვლენებზე არასტანდარტული რეაქციები გქონდეთ. ნინახულობა გამოიჩინეთ, დასაცინი არ გახდეთ.

ლომი 23.07-22.08

19 დეკემბერი: თქვენი მთავარი პრობლემა ისაა, რომ გადაწყვეტილების მიღება არ გსურთ. გაითვალისწინეთ, მაქსიმუმ ორი დღე დაგრჩათ პოზიციის დასაფიქსირებლად.

ქალწული 23.08-22.09

19 დეკემბერი: თქვენთვის მოულოდნელად, ფინანსურ საკითხებს ადვილად მოაგვარებთ. სანამ რამეს იტყვით, კარგად დაფიქრდით, რომ უსიამოვნებები აიცილოთ თავიდან.

სასწორი 23.09-22.10

19 დეკემბერი: თუ რაიმე აკრძალვის დარღვევას აპირებთ, იცოდეთ, აქედან კარგი არაფერი გამოგივათ. არ დაკავდეთ ისეთი საქმით, რომელშიც ძლიერი არ ხართ.

ღრიანკალი 23.10-21.11

19 დეკემბერი: შეიძლება ისეთ საქმეებში მოგიწიოთ ჩართვა, რომელსაც თქვენ არ აკონტროლებთ. ფრთხილად იყავით, შეიძლება ფსიქოლოგიურად დაინერგუნოთ.

მშვილდოსანი 22.11-21.12

19 დეკემბერი: თქვენი ქვეცნობიერების სილრმეში შეიძლება გაიღვიძოს საკმაო ძალამ, რომელიც აუსრულებელი იმედების განხორციელებაში დაგეხმარებათ.

თხის რქა 22.12-19.01

19 დეკემბერი: დღეს თქვენთან სიახლოვეს ყოფნა ძალიან რთული იქნება. ვინც ამას გაუძლებს, დიდი მოთმინების პატრონი უნდა იყოს. სამაგიეროდ გაიგებთ, რომელი ახლობლისთვის უფრო ახლობელი ხართ.

მერწყული 20.01-18.02

19 დეკემბერი: შეიძლება დღეს რაღაც საკითხზე ხახგრძლივი და მომქანცველი საუბრის მონაწილე გახდეთ, თან ისე, რომ სიტყვა არ გათქმევინონ. ამას ვერაფერს მოუხერხებთ.

თევზები 19.02-20.03

19 დეკემბერი: შეიძლება თაქარიანობის „ნიავმა“ წამოგიქროლოთ. თუ არ გსურთ ჭკუიდან გადახვედეთ, მას გამოსვლის საშუალება მიეცით, მაშინ ყველაფერი მალე დაუმკვიდრებულად დასრულდება.

ფულის გულისთვის ჩადენილ მკვლელობას ყოველთვის ასეთი შედეგი მოჰყვება

1858 წელს პოკერის მოთამაშე რობერტ ფოლონი წაგებულმა პირდაპირ თამაშის დროს მოკლა, თავი კი იმით იმართლა, ფოლონი შუელერი იყო და 600 დოლარი მოტყუებით მომიგოო.

როგორც ჩანს, განგსეტერების სამყაროში პოკერის თამაშის დროს ადამიანის მოკვლა არც ისე დიდი უბედურება იყო და როცა მოკლულის გვამი ოთახიდან გაიტანეს, მისი ადგილი თავისუფალი დარჩა, არადა, პარტია დასამთავრებელი იყო.

აქეთ ეცნენ მოთამაშეები, იქით ეცნენ, მაგრამ 'უბედურ ადგილას“ დაჯდომის სურვილი არავის აღმოაჩნდა.

რა უნდა ექნათ აზარტული თამაშების ტრფიალებს? ადგნენ და მოთამაშე პირდაპირ ქუჩიდან შემოიყვანეს, რომელმაც მათი თავშეყრის ადგილს სრულიად შემთხვევით ჩაუარა – ეს იყო ახალგაზრდა ამერიკელი, რომელსაც სახელიც კი არავინ ჰკითხა, არათუ, ჰქონდა თუ არა თამაშის სურვილი.

მოკლედ, შემომატებული მოთამაშე მოკლულის ადგილზე დასვეს და თამაშის გასაგრძელებლად 600 დოლარიც მისცეს.

მკვლელობის ამბავი როგორღაც, თუმცა, პოლიციელებმა შეიტყვეს და შემთხვევის ადგილზე იმ დროს მივიდნენ, როცა თამაშს იძულებით შემატებულ ახალგაზრდას 600 დოლარი უკვე 2200 დოლარად გადაექცია – მან ყველა მოწინააღმდეგეს მოუგო.

როცა სამართალდამცველები საქმეს გაეცნენ და ყველაფერი დაადგინეს, მკვლელებს რობერტ ფოლონის მოგებული 600 დოლარის მისი ყველაზე ახლო ნათესავისთვის გადაცემა აიძულეს, რომელიც სწორედ ის ახალგაზრდა აღმოჩნდა, თამაშში ძალით რომ ჩაითრიეს – რობერტ ფოლონი მამამისი ყოფილა, რომელიც მას 7 წლის განმავლობაში არ ენახა...

scienceblog.ru

მოამზადა მიხეილ სახვაძემ



თვითმფრინავში სხედან პუტინი, მედვედევი და ჟირინოვსკი. უცბად ამ უკანასკნელს იდეა მოუვიდა:

– ახლა თვითმფრინავიდან 1000 რუბლს გადავაგდებ და ვინმეს გავახარებ!

მედვედევიც არ ჩამორჩა:

– მე 500-რუბლიან ორ კუპიურას გადავაგდებ და ორ ადამიანს გავახარებ.

პუტინმაც გამოიდო თავი:

– მე ათ ცალ 100-რუბლიანს გავუშვებ და 10 ადამიანს მოვიმადლიერებ...

პილოტი:

– ახლა სამივე დედა არლნიანს მოგისვრით და მთელ მსოფლიოს გავაბედნიერებ!!!

მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ გესტაპაშვილი (577-74 99 89) 221180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170, 2-21-21-80 (101), 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ძაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთი „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: ქ.ბათუმი, ა. კაზარელის ქ.№4 / კორპ. 80-4 / სართული (ლიფტის ქვა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.44